# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 31 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 244 (6101)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.





რეზო (ემელიანე) ადამიას ნახატი, სპეციალურად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“



**ილია მეორე:**

## დღეს ქართველი ერი დათრგუნულია, მაგრამ ღვთის მადლით საქართველოს მომავალი აქვს

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ახალი წლის ღამეა

სიზმარ-ცხადის ღამეა,
გული უცემთ მთებს...
მთვარე ანგელოზია,
სევდის ნათელს მფენს.

ცაზე უფლის თვალია,
სხივშრომნები თოვს...
საალილო კალათას
ღვთისმშობელი ქსოვს.

ცაზე ირმის კვალია —
მოციმციმე კრთის,
ნაძვებს თავზე ევლება
ზანზალაკთა ხმით...

ნატვრის ნატვრა მიმყვება
ტირისდენის* თვის...
ახალი წლის ღამეა
მშობიარე მზის...

* ტირისდენი – დეკემბერი, ქრისტეს შობის თვე (საბა)

ვარაუდი

# რამაზ საყვარელიძე: 2009 წელს უფრო მეტი რისკის ფაქტორი შიდა პოლიტიკაში გვექნება, ვიდრე — საგარეოში

**საქართველოს 2009 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პერსპექტივებზე ინტერპრესნიუსი პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით გასულ 2008 წელს და როგორი შეიძლება იყოს დამდეგი 2009 წელი?**

— სავარაუდოდ, მომავალი წლის ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრი შეიძლება იყოს ეკონომიკური კრიზისი და ნავთობზე ფასების კლების დინამიკა. როგორც ჩანს, ორივე დინამიკა 2009 წელს შენარჩუნდება. ორივე ეს პარამეტრი მძიმე მდგომარეობაში აყენებს ჩვენს იმ მეზობელს, რომელთანაც ყველაზე მეტი პრობლემა გვაქვს. სავარაუდოა, რომ 2009 წლის რუსეთი არ ემგვანება 2008 წლის რუსეთს. იგი უფრო დამყოლი, პარტნიორული და წესით უფრო ნაკლებად ამბიციური უნდა იყოს.

თუმცა, ხშირად, ეკონომიკური სირთულეების გამო, რუსეთის აგრესიულობა ეკონომიკური კრიზისის გადასაფარად იზრდება. იმედი მაქვს, რომ რუსეთი ამ პარადოქსული რეაქციის გზით არ წავა და შემცირებული ნავთობდოლარები მას ამის საშუალებას ნაკლებად მისცემს.

სავარაუდოა, რომ ამერიკა უფრო ჭკვიანური პოლიტიკის გამტარებელი იქნება კავკასიის რეგიონში და საქართველოს მიმართ. ბუშის ქარაფშუტული პოლიტიკის ნიშნები ნაკლებად იქნება. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ არაორდინალური ობამა პრეზიდენტი გახდა და აშშ-მ პირდაპირი ორმხრივი ურთიერთობები დაამყარა უკრაინასთან. სხვა საკითხია, ეს რაში გამოიხატება, მაგრამ ეს მოვლენა გამაღიზიანებელი იყო რუსეთისთვის, მაგრამ მან კარგა ხანს ვერ მოახერხა რეაქციის მიცემა ვაშინგტონსა და კიევს შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე, მოგვიანებით კი მოსკოვი ამ ფაქტს საკმაოდ აგრესიულად გამოეხმაურა.



ობამასეული ამერიკა გააგრძელებს ისეთ კურსს, რომლითაც იგი რუსეთთან სიმკაცრეს გამოავლენს, მაგრამ იმედი მაქვს აშშ ამას უფრო ჭკვიანურად გააკეთებს. ბუშმა ჩვენი ინტერესები არ გაითვალისწინა, როცა კოსოვოს დამოუკიდებლობის იდეა აწუხებდა. 2009-ში საქართველოს ამერიკის უფრო ჭკვიანური პარტნიორობის იმედი უნდა გვქონდეს. ეს, ჩემი აზრით, იმოქმედებს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ამბიციებზე.

**— როგორ შეაფასებდით 2009 წელს ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პროცესების პერსპექტივას?**

ჩემი აზრით, 2009 წელს პრეზიდენტი საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს. ამას ის მაფიქრებინებს, რომ პრეზიდენტი, ხელისუფლება და „ნაცმოძრაობა“ საარჩევნო კამპანიის სტილში მოქმედებენ — ინიციატივები, რომელიც უნდა იყოს მოწონებული და ხაზგასმა იმისა, რომ დემოკრატიული ინიციატივები „ნაცმოძრაობას“ ეკუთვნის. პრეზიდენტი აქტიურად მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ჯერ პრეზიდენტს არ გაუმჟღავნებია როდის აპირებს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, მაგრამ მისი საარჩევნო კამპანიის რეჟიმიდან სავარაუდო ხდება, რომ ის არჩევნებს დანიშნავს. პრეზიდენტი არჩევნებს მაშინ დანიშნავს, როცა ოპოზიცია არჩევნებისათვის ნაკლებად იქნება მომზადებული და მას არჩევნების მოგების მეტი გარანტია ექნება.

რაც შეეხება არჩევნების შედეგებს. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ თავისი უზარმაზარი რესურსის მიუხედავად „ნაცმოძრაობა“ საარჩევნო რეჟიმში მუშაობს, მე მაინც დიდი ეჭვი მაქვს, რომ „ნაცმოძრაობა“ ისევ მიაღწევს იმ შედეგს, რომელიც მას სურს და სხვები ნაკლებად იქნებიან კმაყოფილი ვადამდელი არჩევნების შედეგებით. არ გამოვრიცხავ მიტინგებს, გამოსვლებს, ხელისუფლებაზე ზეწოლის გამოხატვას. შეიძლება მოსახლეობის უკმაყოფილებამ მაინც იხუვლოს იმის გამო, რომ მაინც გრძელდება დარბევები, საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევა, ადამიანის უფლებების შელახვა. ეკონომიკური კრიზისის გამო მოსახლეობის ნაწილი ქუჩაში აღმოჩნდება, რაც უკმაყოფილებათა რიცხვს გაამრავლებს და რადიკალურს გახდის საპროტესტო განწყობილებას.

„ნაცმოძრაობის“ მხრიდან არჩევნების გზით ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობები, შესაძლოა, უშედეგო აღმოჩნდეს და ქვეყანაში ქაოტური პროცესები დაიწყოს. ამ შემთხვევაში ბევრი რამ ხელისუფლების წინდახედულებაზე იქნება დამოკიდებული. თუ ხელისუფლება წინდახედული იქნა, ამას თავს აარიდებს, თუ არა და ალბათ არაკონსტიტუციური პროცესები საფრთხეს შეუქმნის ყველას და ყველაფერს.

ახალი წელი მოდის და იმედი ვიქონიოთ, რომ 2009 წელს ამ სცენარით პროცესები არ განვითარდება, ყველაფერი კონსტიტუციის ჩარჩოებში ჩაეტევა. მოსახლეობის განწყობილებაში ხელისუფლებაზე ფიზიკური ზეწოლის სურვილი არ არის და თუ ვინმე რამეს კითხულობს, კითხულობს არჩევნების გზით იქნება თუ არა შეცვლილი ხელისუფლება. მაგრამ ვიმეორებ, ბევრი რამ თავად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ანუ იმაზე, მოისურვებს თუ არა იგი კანონის ფარგლებში მოქმედებას.

2009 წელს უფრო მეტი რისკის ფაქტორი შიდა პოლიტიკაში გვექნება, ვიდრე საგარეო პოლიტიკიდან. იმედი ვიქონიოთ, რომ ახალ წელს როგორც ერთგან, ისე მეორეგან უკეთესი მოლოდინი გვქონდეს. ვიქონიოთ იმედი, რომ პატარა ქვეყანა უფრო ადვილად გაუძლებს ეკონომიკურ რისკებს, ვიდრე დიდი ქვეყნები, რომ დესტაბილიზაციით მობეზრებული ქართული საზოგადოება დესტაბილიზაციის ახალ ტალღას არ მოისურვებს, რომ ძალაგამოცლილი რუსეთი კეთილი და დემოკრატიული გახდება და რომ ამერიკაც უფრო ჭკვიანი გახდება.

**კობა ბენდელიანი**

განსჯა

**შეჯამების ცდუნება წლის ბოლოს ნებისმიერი ჟურნალისტის (და არა მხოლოდ მისიძ ბუნებრივი რეაქციაა. არადა, როგორც უნდა დათვალო და გაზომო, საქართველო შაგრენის ტყავივით დაპატარავდა. ათიათასობით ახალი ლტოლვილი, სამოცდაათამდე დანგრეულ-განადგურებული სოფელი, რუსული ხიშტებით შემოფარგლული ტერიტორია შუა ქართლში, მოსახლეობისგან დაცლილი კოდორი. ჯადოსნური „მაპის“ ნაცვლად, სამოწყალოდ გაღებული ყოველწლიური თანამშრომლობის პროგრამალა დაგვრჩა, რომელიც თურმე ყბადაღებულ „მაპზე“ უკეთესი ყოფილა.**

# ნახტომი სიცარიელეში,

## ანუ საქართველო – 2008



გაცხადებული სირცხვილი თუ გაღრმავებული დეპრესია საქართველოს მოქალაქეების უდიდეს ნაწილს, ალბათ, დაავიწყებს გასული წლის საშვიდნოემბრო იარებსაც და უკვე წელს, ორჯერ გაყალბებული არჩევნების დროს ხელისუფლების შერბილებულ ცინიზმსაც. თითქოს ყველაფერი კარგად დაგეგმილი სცენარივით მიმდინარეობდა: პრეზიდენტი — კანონიერად არჩეული, პარლამენტი — ხალხის ნების გამომხატველი, ეკონომიკა — სტაბილურად მზარდი, ქუჩები — გაფერადებულ-განათებული, შარდენი — გადატენილი... სინამდვილეში ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. დღეს ქვეყანა ასჯერ უარეს დღეშია, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ. იმდენად, რომ ლამის ახალგახსნილი საბავშვო ბაღების, ნაირფერად შეღებილი სახლებისა და სტანდარტული შადრევნების ნოსტალგიაც კი გაჩნდა... ოღონდ ეს ომი და ეს სირცხვილი არ ყოფილიყო!

მეხსიერების არქივს შემორჩება ლამის ლეიბორისტებისთვის წართმეული, ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნოდ მემარცხენე მოწოდებები — „საქართველო სიღარიბის გარეშე“ და „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“. სინამდვილეში არც ღარიბებისთვის მოუცლია ვინმეს და ლაპარაკი ხომ საქმეზე დღემდე, ათასჯერ შთამბეჭდავია. განსაკუთრებით ოდნავ შეწუხებული სახით და რაც მთავარია, ტელეკამერების თანდასწრებით. სამაგიეროდ, ნაომარ ქვეყანაში მოდაში სხვა თემებია: როგორ არ „ჩამოიშალა“ ეკონომიკა ომის დროს და როგორ გავუმკლავდით მსოფლიო კრიზისს, ისე რომ, სხვაგან უბედურება ტრიალებს და ჩვენთან ეკონომიკური პროცესი მხოლოდ შენელებულია. მიახლოებითი დღესასწაულები, რომელსაც ხელისუფლება თვრამეტი თვის შემდეგ გვპირდებოდა, ახლა 2012 წლამდე გადაიწევს, თუ, რასაკვირველია, მანამდე რაიმე შინნაკეთი არჩევნები ან რევოლუცია არ „ჩატარდა“ და ხელისუფლებამ იმ დრომდე საერთოდ გაძლო.

ცალკე საუბრის თემაა „შეცდენილები და გაქცეულები“: ნინო ბურჯანაძე, რომელსაც პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ „რკინის ნინოს“ უწოდებდა, დღეს თითქმის ნათელაშვილის უშუალობით გამორჩეული ლექსიკით აკრიტიკებს ხელისუფლებას, რომლის მეორე პირიც ოთხი წლის განმავლობაში იყო. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მრავალმნიშვნელოვანი დაღლილობითა თუ იდუმალებით ქმნის ახალ ოპოზიციურ პარტიას, ხოლო გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია თითქმის წინასაპრეზიდენტო სამზადისშია. იმედია, არც ბატონი ლადო გურგენიძე დააკლდება პოლიტიკურ მარაქას და არ დარჩება თამაშგარე მდგომარეობაში. როგორც პოეტი ამბობს, ყველას რაიმე აქვს სახსოვარი. მათ შორის სანტა-კლაუსსაც, რომლის სახსოვარი თუ სასწაული მხოლოდ მორალურ-ფინანსური მხარდაჭერით შემოიფარგლება. ასე რომ, ბრიუსელში დაპირებული ოთხი მილიარდი საახალწლო საჩუქრად შეიძლება აღვიქვათ.

ქვეყნის პოლიტიკური კატასტროფის ფონზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ხელისუფლებისთვის ინდულგენციის შესანიშნავი მიზეზი აღმოჩნდა. რატომ გვყავს ამდენი გალატაკებული — მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია; რატომ დაკარგა სამსახური ათასობით ადამიანმა — კრიზისის გამო; რატომ გაიორმაგეს ხელფასები ყველა ჯურის პოლიტიკოსებმა — აბა, კრიზისს ცარიელი ჯიბით ხომ არ შეხვდებიან; რატომ ვერ არსებობს ადამიანი „საარსებო მინიმუმით“ — კრიზისის დროს ფასები იზრდება; რატომ არ ჩანს გამოსავალი — კრიზისის საშიშად გრძელვადიანია. მოკლედ, კრიზისი ახლადგაკეთებული თიხის ქოთანივითაა, საიდანაც გინდა ყურს იქიდან მოაბამ და ვერავინ შეგედავება. ხოლო თუ პრეზიდენტი კაცად ჩაგაგდებს და წინაასახალწლოდ მთავრობის სხდომაზე დაგიბარებს, თანაც გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებზე მოგიყვება, ვერაფერს გააწყობ — გინდოდა, მაგრამ მსოფლიო კრიზისმა ხელი შეგიშალა.

იქ, გარეთ, „წეროვანის გეტოში“ კი ლტოლვილებს სახელდახელოდ გამოყვანილი გაზი უნდა უხაროდეთ. ცხოვრება ხომ გრძელდება და საერთოდ, როგორც განახლებული პირველი არხი შთაგვაგონებს: „ცხოვრება მშვენიერია“. და ამ ტოტალურად მაცდური თუ მატყუარა „ვარდისფერი გადაცემების“ მერე უნდა დაგვავიწყდეს რეალობა, რომელიც არასოდეს ისეთი სასტიკი არ ყოფილა, როგორც დეპრესიულ-ჩაბნელებული 90-იანი წლების შემდეგ. მოხუცი პატრიარქი ამასობაში რუსეთ-საქართველოს კატასტროფულ ურთიერთობას დიპლომატივით ალღობდა მოსკოვში. წარუმატებელი წელი ცოტათი გამარჯვებულმა ოლიმპიელებმა, პოლიფონიურად მომღერალმა ნორჩმა „ბზიკებმა“ და მოჭადრაკე ქალებმა გაახალისეს და ისიც ლამის ხელისუფლებამ დაიბრალა.

**ერთი სიტყვით, დანიის მჭმუნვარე პრინცისა არა იყოს, „ცუდ ამბებს ვხედავთ...“ და არა მგონია მომავალ წელს კარგს უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, როგორც გვაფრთხილებენ, მსოფლიო კრიზისი ასე იოლად არ დასრულდება. მაგრამ საახალწლო იმედები და ზღაპარი არ შეიძლება პესიმისტური იყოს. ამიტომ მომავლისა და წარმატების იმედით ვიყოთ; ვიფიქროთ, რომ ნახტომი სიცარიელეში მომავალ წელს მაინც დასრულდება — „საუკეთესო ათეულში“ ილია ნამდვილად დაფასდება, ხოლო ლტოლვილებს საკუთარ სახლებში არა სასწაული, არამედ სახელმწიფო დააბრუნებს.**

**დავით ბუხრიკიძე**

ინფორმაცია

## პარლამენტში უმეტესობას ხალხის ბედი ფეხებზე ჰკიდია



**ოპოზიციონერი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი ბიუჯეტის პროექტების განხილვისას პარლამენტში დამკვიდრებულ ტრაგიკულ ტრადიციაზე საუბრობს.**

**ამის შესახებ გია ცაგარეიშვილმა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას განაცხადა.**

**მისი თქმით, ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ბიუჯეტის პროექტი თითქმის ცარიელ დარბაზში განიხილება, ამ მოწვევის პარლამენტშიც დამკვიდრდა.**

**დეპუტატმა დასძინა, რომ ეს ტრადიცია მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ პარლამენტის უმრავლესობას საერთოდ არ აინტერესებს, როგორ უნდა იცხოვროს მომავალში ქვეყანამ და ხალხმა... და საერთოდ, არ აინტერესებთ, თუ როგორ უნდა მართონ ქვეყანა, — დასძინა გია ცაგარეიშვილმა.**

## ლეიბორისტები პრეზიდენტს იმპიჩმენტს უმზადებენ

**„ლეიბორისტებმა“ საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით პარლამენტში მიმართვა შეიტანეს.**

**მიმართვას პარტიის ის წევრები აწერენ ხელს, რომლებმაც პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადეს.**

**დღეს ჩვენ ოფიციალურად წარვადგინეთ პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის აღძვრის ოფიციალური დოკუმენტი. მივმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრებს, აღასრულონ თავიანთი მოვალეობები ერისა და ხალხის წინაშე, ხელი მოაწერონ ამ დოკუმენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილთან ერთად მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება, — განაცხადა „ლეიბორისტების“ პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ.**

ინტერპრესნიუსი

**ესეც მიიწურა...**

**ამჟამად ყველაფერს აქვს და- სასრული და აგვისტოს კატასტ- როფით დაღდასმული ეს უკულ- მართი 2008-ც გადაშავდა რო- გორც იქნა, დაგვაყენა საშველი.**

ომის და მარცხის მეტი რა ყოფი- ლა ჩვენს ისტორიაში, მაგრამ წლე- ვანდელი მარცხისნაირი მაინც ძნე- ლად მოგვეძევება.

ლი ჩვენი პრეზიდენტი ხომ სულ გვტუმბავს და გვტუმბავს: ეს შორი- დან ჩანს, ვითომ დავმარცხდით, თო- რემ აბა ერთი ახლოდან ნახეთ, თუ არ გავიმარჯვეთო!

ისე, გამარჯვების „დასაბუთება“ როგორია – ხელისუფლება და სა- ხელმწიფოებრიობა შევინარჩუნეთო!

კაცმა რომ თქვას, ხელისუფლე- ბა რომ შევინარჩუნეთ, იქნებ და- მარცხების ერთ-ერთი ნიშანიც სწორედ ეს არის. რაც შეეხება სა- ხელმწიფოებრიობის შენარჩუნე- ბას: როცა სახელმწიფო თავისი ტე- რიტორიის თითქმის მეხუთედს დე იურედაც კარგავს, რა სახელმწი- ფოებრიობის შენარჩუნებაზე შეიძ- ლება ლაპარაკი.

# დამარცხვება და იქლიკანტური შეგონება



ეს არ იყო რიგითი მარცხი, თავ- ზარდაცემა იყო, ქვეყნის სხეულის უმტკივნეულესი ამპუტაცია იყო.

არაბი თუ მონღოლ-თათარი მი- წასთან კი გვასწორებდა, მაგრამ ჩვენს მიწას მაინც ჩვენ გვიტოვებდა. ეს მერე – შაჰ-აბასმა წაგვგვარა სა- ინგილო, ხოლო თურქეთის სულთან- მა სამხრეთის მკვიდრი პროვინციე- ბიდან ამოგვაკვეთინა ფეხი.

დღეს კი რუსეთმა მოგვითავა ხე- ლი. თუ რამ კარგი გაუკეთებია ოდესმე ჩვენთვის, ერთბაშად ამოგ- ვადინა ძმრად და სისხლად: აფხა- ზეთი და შიდა ქართლი მიიტაცა სხვისი სახელით და საზღვარი თბი- ლისის ცხვირწინ – 40 კილომეტრზე გაგვიტარა.

არადა, რა გაუტეხელი ხალხი ვართ, მაინც ვიჭაჭებით, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო. ქარს გამოდევნებუ-

ახლა ახალი სამხილი მიეცა ამ და- მარცხებულ გამარჯვებას (დამა- რცხჯვებას„: რუსეთის პრეზიდენ- ტმა მედვედევმა თავისი პირით აღი- არა, რომ ომისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა, ადრე რომ ყოველ- ნაირად უარობდა ამასო.

მაგრამ კაციშვილი დალაგებუ- ლად ვერ ამბობს, რა „მოხელე ჩიქ- ვანია“ ეს „აღიარება“ და რა შეღა- ვათს გვაძლევს.

რომ არ „ეღიარებინა“ რა, „ული- ველებელი, არიქა, რუსეთს ჩვენ წი- ნააღმდეგ „დომაშნიე ზაგოტოვკები“ ჰქონია მომზადებულიო?

ყველაფერი ვიცოდით და დასავ- ლელი ძომაგების იმედით მაინც ჩა- ვეთრევინეთ ომში.

მივილეთ კიდეც საკადრისი...

და ახლა „აღიარებასთან“ დაკავ- შირებით ჩვენი ხელისუფლების ფარ- თიფურთი, სწორედ რომ სასაცილო და შესაბრალისია.

ეს უკვე ეროვნულ უბედურებად გვექცა – სულ ასეთი „შეღავათების ძიებაში ვართ, სულ რაღაც „ხვრე- ლებს“ ვჩხრეკთ.

ამ დღეებში ცნობილი რუსი ჟურ- ნალისტი ნიკოლაი სვანიძე გვსტუმ- რობდა რუსეთის საპატრიარქოს დე- ლეგაციის წევრად. „კავკასიის“ ეთერში ვუსმინე. გულშიც არ გაივ- ლოთ, არც იფიქროთ, რომ რუსეთი

არებლად“ არ ვიცოდით ან ჩვენ, ან სხვამ, რომ ემზადებოდა?

ჯერ კიდევ როდის თქვა პრემიერ- მინისტრმა პუტინმა, საქართველო თუ ბევრს გაახურებს, ყველამ იცო- დეს, ჩვენ გულხელდაკრეფილი რო- დი ვსხედვართ, „უ ნას ესტ დომაშ- ნიე ზაგოტოვკი“-ო!

რატომ მაშინ არ ავტეხეთ ვაი-უშ- თავის გადაწყვეტილებას შეცვლის აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარე- ბის თაობაზეო, ეგ საქმე მორჩა და დამთავრდაო.

ახლა სვანიძეს რომ არ „დავემშვი- დებინეთ“, ეს ხომ ისედაც ვიცოდით. მაგრამ იმ კაცმა ალბათ არ იცოდა, რომ ვიცოდით და იფიქრა, შეხსენება არ აწყენს ამ უდროოდ და უადგი- ლოდ ატროკებულ ხალხსო.

ნიკოლაი კარლოვიჩი დიალაც სა- პატიო და აღმატებული დელეგაციის წევრი იყო, რომელიც ორ ქვეყანას შორის ჩეჩმის დონეზე ამყრალებულ ურთიერთობაში რაიმე გამონათების გზებს ეძიებდა, ამდენად დაეჯერე- ბა, რასაც გვაჯერებდა.

ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც დარწმუნებულია, მოსკოვს რომ ცო- ტა გავუგორდ-გამოვუგორდეთ, წართმეულს დაგვიბრუნებსო.

თუ გაგორებაა, მანამდე უნდა გავ- გორებოდით, სანამ ომამდე მივიყვან- დით საქმეს ამ უგვანი ხელისუფლე- ბის გადამკიდე, თორემ ახლა გინდ გაუგორდი და გინდ სულაც ყითა ნა- წილში შეუძვერი.

ერთიც. ზოგ-ზოგს სვანიძე დიდად ეიმედებოდა (?ძ ქართული გვარის გამო (!ძ, „ჩვენი კაციაო“. ისე, იმ გუ- ლაჩუყებულ მაყურებლებს რატომ- ღაც გამორჩათ, როცა ტელემასპინ- ძელმა დავით აქუბარდიამ დასტუ- რის მოლოდინში თაფლოვანი ღიმი- ლი შეაფრქვია, თქვენ წარმოშობით (родом საქართველოდან ხართო, „ჩვენმა კაცმა“ კოპებშეკრულმა მო- უჭრა, ბაბუა კი მყავდა გალელი, მაგრამ მე წარმოშობით მოსკოველი ვარ და არა ქართველიო.

იხ. 4 გვ.

**თვალსაზრისი**

# დაკარგულის უფრო ადრე დაბრუნების შანსი

**საქართველოს ხელისუფლება დარწმუნებულია რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბ- რუნების პერსპექტივებში და ღია- დაც აცხადებს, რომ ეს იმაზე უფ- რო ადრე მოხდება, ვიდრე გვგონია.**

„დადგება დრო და იმაზე უფ- რო მალე, ვიდრე ბევრს ჰგონია, საქართველოს ტერიტორიების გათავისუფლება მოხდება“, – გა- ნაცხადა საქართველოს პრეზი- დენტმა. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს არ დაუკონკრეტე- ბია, თუ რა ვადა არსებობს „ბევ- რის“ წარმოსახვაში და რა ვადად ისახება „იმაზე უფრო“ ადრინდე- ლი პერიოდი. ისე როგორც პრე- ზიდენტის ადრინდელი საჯარო გამოსვლების ტექსტებით დას- ტურდება, რომ არა აგვისტოს ომი, იმ დროისათვის სეპარატის- ტულ-მარიონეტული რეჟიმები მიხეილ სააკაშვილის საპრეზი- დენტო ვადის გასვლამდე უნდა გაქცეულიყვნენ და სოხუმიცა და ცხინვალიც ამ ვადაში უნდა ჩაგ- ვეკრა გულში.

თუ საქართველოს ხელისუფ- ლებაში ფიქრობენ, რომ ეს პრო- ცესი – ახლა უკვე ღიად ოკუპი- რებული და „დამოუკიდებელი ქვეყნების“ დაბრუნება, დღეს უფ- რო მეტად პერსპექტიული საქმეა, მაშინ ისინი ყოველგვარ რეალო- ბას მოწყვეტილები არიან, რაც ნეგატიური მოვლენაა.

მაგრამ არის ერთი მეტად პო- ზიტიური ფაქტი, რომელიც სწო- რედ ამ კონტექსტში უნდა განვი- ხილოთ. დასავლეთი და კერძოდ აშშ მიხვდა, რომ არ შეიძლება სა- ქართველოს რუსეთის პირისპირ მარტო დატოვება, ისევე რო- გორც უკრაინის, თუმცა ჩვენს შემთხვევაში ღია გაკვეთილი უკ- ვე გამართულია და ყველა სა- კითხში სიცხადეა შეტანილი.

სწორედ აგვისტოს ომის ანალი- ზის საფუძველზე ფორმდება 4 იანვარის ხელშეკრულება. იმის მიუხედვად, რომ გასაფორმებელი ქარტიის მთავარ მოტივაციად უსაფრთხოების საკითხი სახელ- დება, ეს უფრო სტრატეგიული გა- გებისა და რაობის მატარებელი ხელშეკრულებაა, ვიდრე კონკრე- ტული სფეროების განვითარები- სათვის აშშ-ის მიერ მისამართი ძალისხმევა. ქარტიას, შესაძლოა, ქვეყნის განვითარების ტენდენცი- ების განმსაზღვრელი დოკუმენ- ტიც ეწოდოს, რომლის რეალური ამოცანა არამცთუ რიგითი მოქა- ლაქისთვის, ხელისუფლების მრა- ვალი წამომადგენლისთვისაც ამ ეტაპზე ბოლომდე გაუგებარი და გაურკვეველი რჩება.

ნამდვილად უაზრობა იქნება იმაზე საუბარი, რომ ხელშეკრუ- ლება საქართველოს აშშ-ის მეტ- როპოლიად აქცევს, ან იმის მტკი- ცება, რომ ამ შეთანხმების შემდეგ საქართველო მუდმივად მოკიაფე დემოკრატიის შუქურა იქნება, რომელიც არა მხოლოდ გაანა- თებს, არამედ „გაათბობს“ კიდეც.

მაგრამ ფაქტია, რომ ხელშეკ- რულებაში ჩადებული მუხლები დემოკრატიის იძულების პარა- ლელურად საქართველოს დაა- კისრებს სამხედრო ვალდებულე- ბასაც, რომელიც ქვეყანას თუნ- დაც იმავე სახის ავანტიურაში ჩათრევისა თუ ჩართვის პერსპექ- ტივებს შეუზღუდავს და ასეთი ქმედების რისკს ნოლს გაუტო- ლებს.

ცხადია, ხელშეკრულება იმას არ ნიშნავს, რომ აშშ რუსეთის ხე- ლახალი აგრესიის შემთხვევაში იმავე ფრონტის ხაზზე დადგება, სადაც ქართველ მებრძოლებს მო- უწევთ დგომა. თუმცა ხელშეკრუ- ლების გაფორმების შემდგომ პენ- ტაგონის მაღალჩინოსნები არავის დააბოლებინებენ თავს „პოტიომ- კინის“ სოფელივით აშენებული ქართული ჯარის ფასადითა და რუსთაველის გამზირზე მოგრუ- ხუნე ტექნიკის სამხედრო სიძლი- ერის დემონსტრირებით.

4 იანვრის ხელშეკრულებას აქვს ერთი მეტად პოზიტივი, რო- მელიც საქართველოს აიძულებს ერთხელ და სამუდამოდ, არა მხო- ლოდ დეკლარირებით, არამედ ფაქტობრივად უარი თქვას საკუ- თარი ტერიტორიების სამხედრო ძალით დაბრუნების პერსპექტი- ვების განხილვაზეც კი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო საკუ- თარ ტერიტორიებს სამხედრო ძალით ვერასოდეს დაიბრუნებს და მისი სამხედრო პოტენციალი მხოლოდ აგრესიის მოგერიება- ზე იქნება ორიენტირებული. წლების განმავლობაში თუნდაც სამხედრო-ტაქტიკური წვრთნე- ბისა თუ დაგეგმარებისას გარე საფრთხედ, ე.ი. ბუად მხოლოდ რუსეთი და მისი შეიარაღებული ძალები დარჩება.

რასაკვირველია, ხელშეკრულე- ბა ხელს აძლევს როგორც თბი- ლისს, ასევე ვაშინგტონსაც. ამ უკანასკნელისთვის უმთავრესია პარტნიორის შენარჩუნება საკუ- თარი გავლენის სფეროში და იმის კონტროლიც, რომ მისი სახსრე- ბი და გარჯა წყალში არ ჩაიყრე- ბა. თბილისის პოზიტივები კი ისე- დაც ნათელია. მაგრამ ყველაზე მე- ტად მოგებული რჩება მოსკოვი, სოხუმი და ცხინვალიც კი.

ფაქტობრივად, ვაშინგტონ- თბილისის ხელშეკრულება სწო- რედ ის დოკუმენტი ხდება, რომ- ლის მიღებასაც სოხუმი და ცხინ- ვალი წლების განმავლობაში ითხოვდნენ და რომელსაც თავ- დაუსხმელობის ხელშეკრულება უნდა დარქმეოდა.

მხარეთა მიერ ხელშეკრულების პარაფირებისა და შემდგომ მისი რატიფიცირების დღიდან, მოსკო- ვისთვის ნათელი ხდება, რომ სა- ქართველო ვაშინგტონის თანხმო- ბის გარეშე არავითარ შემთხვევა- ში არ დაიწყებს საომარ მოქმედე- ბებს მის მიერ ოკუპირებული ტე- რიტორიების დასაბრუნებლად, სხვა შემთხვევაში ეს გახდება თეთრი სახლის მიერ მესამე მსოფ- ლიო ომის დაწყების სიგნალი. მოს- კოვში კარგად იციან, რომ ვაშინ- გტონი ამაზე არასოდეს წავა.

ამ ყველაფრის ნეგატიური მხა- რე ისაა, რომ ვინაიდან კრემლი არ აპირებს „დამოუკიდებელი“ და ფაქტობრივად ოკუპირებლი ტე- რიტორიების დატოვებას, რეა- ლობა ხდება ის გარემოება, რომ მოსკოვი დე ფაქტო იკანონებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთ- ში ყოფნის უფლებას. ეუთოს მი- სიის წინააღმდეგ მიღებული გა- დაწყვეტილების შემდეგ კრემლი შეეცდება იგივე ქმედება განა- ხორციელოს გაეროშიც და აფხა- ზეთსაც ჩამოაცილოს დამკვირებ- ლები, რაც მას ამ ტერიტორიებ- ზე თავისუფალი ყოფნისა და მოქ- მედებებისთვის გაუხსნის ხელს.

ნეგატიურია ის გარემოებაც, რომ ამ ხელშეკრულებით თუ მის გარეშეც საქართველოს შანსები აფხაზეთის დასაბრუნებლად ფაქ- ტობრივად ნოლის ტოლია. გამო- რიცხულია, მოსკოვმა გუბერნიე- ბად ქცეული ტერიტორიები საკუ- თარი ნებით დაგვიბრუნოს. ამ პროცესში ვერც საერთაშორისო ორგანიზაციები იყოჩაღებენ. მათ ასეთი სახის ქმედება უფრო ხელ- საყრელ ვითარებაში არ გამოსვ- ლიათ წარმატებულად და შესაბა- მისად ვერც ახლა გამოისხმას მა- თი ძალისხმევა რეალურ შედეგს. იმავე ჟენევის ფორმატით, მიმდი- ნარე მოლაპარაკებების ყველაზე დიდი შედეგი, შესაძლოა, ტექნი- კური საკითხების მოგვარება გახ- დეს, ვიდრე რაიმე სახის ქმედითი გადაწყვეტილების მიღება. თუნ- დაც, მოლაპარაკების მხარეების ლიდერებისთვის ხელმოსაწერად რაიმე ხელშეკრულების პროექ- ტის წარდგენა.

რუსეთის ახირება ოკუპირებუ- ლი ტერიტორიების დე ფაქტო მმართველები საერთაშორისო მო- ლაპარაკებებში დამოუკიდებელი სტატუსით ჩართონ, ეს თავად ამ რეჟიმებისთვის გაგორებული სატყუარაა, ვიდრე საერთაშორი- სო საზოგადოების თვალში წარ- მოსაჩენი „დამოუკიდებელთა“ ინ- ტერესების დაცვის მცდელობა. აქ- ვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზე- თის შემთხვევაში არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. აფხა- ზეთის რეჟიმს, კოკოითის რეჟი- მისგან განსხვავებით, არ სურს მუდმივად იმყოფებოდეს რუსეთის ფრთებქვეშ და ის შეეცდება კრემ- ლისგან თავის დაღწევის მექანიზ- მი მოძებნოს. მაგრამ ამ ვითარე- ბაშიც კი აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას ძნელად თუ დათანხმდება.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება შე- საძლებელია მხოლოდ ერთ ვითა- რებაში: თუ რუსეთი, როგორც სახელმწიფო არ იარსებებს იმ სა- ხით, რა სახითაც ახლა არსებობს. მნიშვნელობა არ აქვს ამის მიზე- ზი რუსეთის გადემოკრატიულე- ბა გახდება (ამ ვითარებაშიც კი სათუოა, რომ მან რაიმე სახის კე- თილი ნება გამოიჩინოსძ, თუ დი- დი ომში დამარცხდება. მაგრამ პირველი კეთილ და საოცნებო ზღაპარს ჰგავს, რომლის სიუჟე- ტი ჯერ არავის დაუწერია, მეო- რე კი – აბსურდის თეატრის რა- ღაც უაზრო მიზანსცენას, ვინა- იდან, არც აშშ, არც ჩინეთი და არც სხვა ბირთვული სახელმწი- ფო რუსეთთან საქართველოს ტე- რიტორიული მთლიანობის აღ- სადგენად ომს არ დაიწყებს.

ამიტომაც, ამ მიმართებით არ- სებული ნეგატიური ფაქტორები უფრო წონადია, ვიდრე პოზიტი- ური სლოგანი, „იმაზე უფრო მა- ლე, ვიდრე ბევრს ჰგონია“.

**გოჩა მირცხულავა.**
**ჯი-ეიჩ-ენი**

ესეც მიიწურა...

(მესამე გვერდიდან)

დაახლოებით ისე, ჩვენმა დამაქცევარმა საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა მკვახედ რომ შეაგება მასთან იმედით მისულ თანამემამულეებს, მე ქართველი თავადი კი არა, რუსი გენერალი ვარო...

აგვისტოს შემდეგ ერთხანს კი იყო მიყუჩებული, მაგრამ შემდეგ ისევ აალირა თავი ჩვენმა პრეზიდენტმა. „გამარჯვების“ მიმლოცველად დაუღალავად დადის ქვეყანაში, ხვდება „მასებს“, უხვად არიგებს დაპირებებს, არწმუნებს, ყველაფერი კარგად არისო, „პორტ არტურიდან თავის ცხენს გამოსწრებული“ ჩვენი არმია კვლავ საუკეთესოა მაშრიყიდან მაღრიბამდეო, ჩვენს ეკონომიკაში ახლა იწყება აღმავლობა თუ იწყებაო.

დადის პრეზიდენტი სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, თაიგულივით ჩადგება საგანგებოდ მისთვის შერჩეულ-შექუჩებულ ხალხში და მიდიიი! არადა, დაცვის ბუღა-ბუღა ჯეელები ფხიზლად ზვერავენ გარემოს, ემანდ ვინმე გადარეულმა ფეხსაცმელი არ ესროლოს ჩვენს სათაყვანებელ პრეზიდენტს და ცხრამთა-ცხრაზღვაგადაღმელი მისი მეგობარივით არ მოიჭრას თავი საქვეყნოდ.

მაგრამ ამის საშიშროება ჩვენთან ნაკლებად არის, რადგან როგორც ამას წინათ ერთმა ენაკვიმატმა „ათიანში მოარტყა“, საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ათასი კიკაბიძე და არც ერთი კამიკაძეო. მეორეც, ვინმემ ფეხსაცმელი რომ ესროლოს, სულ ცოტა ნახევარი წელი ფეხშიშველმა უნდა იაროს, სანამ ახალს იყიდის, რადგან ნასროლის სამარქაფო წყვილი არ აქვს. ამიტომ ყველა თავს შეიკავებს.

პრეზიდენტი დადის (დარბისძ, დაფრინავს, დასრიალებს (თხილამურებითძ, ხან აჭარაში ჩაიხუტებს მეციტრუსე ქალბატონს, ხან კახეთში უჭახუნებს ჭიქას მევენახეს... ყველგან არის, ოღონდ არა თავის კაბინეტში — ავლაბრის რეზიდენციაში, რომლის აგებაც ათეულ მილიონობით დოლარი დაუჯდა ჩვენს გალეტილ ბიუჯეტს იმ იმედით, რომ პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს, ქაღალდებით დახუნძლულ მაგიდას მიუჯდებოდა და კითხვით თვალებს ამოილამებდა. რის თვალების ამოლამება და ჯდომით კუზის ამოყვანა — ბატონი მიხეილი სირბილ-სირბილში სახელმწიფო საქმეების ქნადობის პრაქტიკას მისდევს, რომლის საავტორო უფლებაც დაპატენტებული აქვს.

ასე უფრო ახლოს არის ხალხთან, ასე უფრო ეცნობა მის ტკივილებსა და სიხარულსო, პათეტიკურად მითხრა ერთმა ნაცმოძრაობის ვეტერანმა ნამინისტრალმა ბიჭუკელამ.

ხალხთან ახლოს ყოფნის სურვილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ხალხის მმართველებსაც გასჩენიათ:

იმპერატორი კალიგულა გადაიცვამდა და რამდენიმე კუნთმაგარ ყორჩთან ერთად ღამით რომის ქუჩებში დათარეშობდა და გამვლელებს ჩხუბს აუტეხდა ხოლმე (ერთიორჯერ გვარიანადაც დათეთქვეს კიდეცძ.

ლეგენდარული ხალიფა ჰარუნ არრაშიდიც გადაცმული გამოდიოდა ღამით ბაღდადის ქუჩებში, რათა უშუალოდ გაეგო, რას ფიქრობდა ხალხი.

გასული საუკუნის პირველ მესამედში ფეხსაცმელების ცნობილ ჩეხ მწარმოებელს ბატიას მოძრავი კაბინეტი ჰქონდა — ბაგირზე ჩამოკიდებული შუშის კაბინით საამქროებში მოძრაობდა, თან საქმიანობდა, თან ფხიზლად უთვალთვალებდა, როგორ ირჯებოდნენ მისი მუშა-მოსამსახურეები...

როგორც ჩანს, ჩვენს პრეზიდენტსაც ასეთ მოძრავ კაბინეტებად აქვს შეზღუდული თვითმფრინავი და ავტომანქანა, იქიდან აკვირდება, როგორ საქმიანობს ხალხი, მაგრამ აი, ხალხმა კი არ იცის, როგორ და როდის მუშაობს თვით პრეზიდენტი, ან მუშაობს თუ არა საერთოდ, თუნდაც ამ უსასრულო მოძრაობაში პაწია ინტერვალების სახით.

ბატონი პრეზიდენტი ალღოიანი კაცია და მშვენივრად ხვდება, რომ მისთვის „საუფლისწულო მამულად“ მითვლილი ქვეყანა შეიძლება მართლაც გამოეცალოს ხელიდან ერთ მშვენიერ დღეს, როგორც ამას ოპოზიცია წინასწარმეტყველებს დღენიადაგ და, როგორც ჩანს, დიდი ფიქრისა და შინაურ თუ გარეულ მეგობრებთან კონსულტაციის შედეგად, სიტუაციის გადარჩენის ერთ უნივერსალურ და უტყუარ ხერხს მიაგნო: მთავრობაში ბიჭები დააწიოკა სულგანათლებული ლუარსაბ თათქარიძის პრაქტიკის შესაბამისად და იქ ახალი სახეები გამოაჩინა, თუმცა ეს „ახალი“, სინამდვილეში სულაც არ არის ახალი ან თუნდაც კარგად დავიწყებული ძველი, ისევ ის ნაცნობი, უკვე ყელში ამოსული სახეებია.

მთელ ამ საკადრო „გადატრიალებაში“ ორად-ორი კაცი დარჩა მართლა თამაშგარე: კეზერაშვილი (ჯერჯერობითძ, რომლის თავის დროზე თავდაცვის მინისტრად (!ძ დანიშვნა იყო გაუგებრობა და თავის მოჭრა (ისევე როგორც ბეგაშვილის ჩინეთში ელჩად გამწესება!ძ და ელჩი გაეროში ირაკლი ალასანია — ამ ხელისუფლებაში, ალბათ, ერთადერთი, ვის გარკვეულ წარმატებულ მუშაობაზეც შეიძლებოდა ლაპარაკი და კაცმა არ იცის (ოფიციალურადძ რატომ შემოსწყრნენ მაინცდამაინც მას.

ალბათ სწორედ ამ წარმატებულობის გამო!

ძალზე დაბეჯითებით იმასაც ამბობენ, იმიტომ აითვალისწუნეს, რომ პრეზიდენტის შემცვლელად, მის საპირწონედ მოიაზრებაო.

ისე, ეს ვერსიები ერთმანეთს არ გამორიცხავს, პირიქით, ერთმანეთს ავსებს და მართლაც გაფიქრებინებს, მიზეზი მართლაც სწორედ ეს არისო.

ალასანია ახლახან ორიოდ დღით ჩამოვიდა თბილისში, 15-წუთიანი პრესკონფერენცია გამართა და ყელში სულმობჯენილ ჟურნალისტებს რომ ეგონათ, ახლა კი დახრავს პრეზიდენტს და ნაცმოძრაობასო, ფაქტობრივად, მხოლოდ ეს თქვა, გამარჯობათ და ნახვამდისო, რაც მის თავშეკავებაზე და გონიერებაზე (სიფრთხილეზე) მეტყველებს — „თუ გადახტომას აპირებ, ჯერ გადახტი და ჰოოპ მერე დაიძახე!“ მომავალი პოლიტიკური მოღვაწის (როგორც დაბეჯითებით ვარაუდობენძ ეს თვისება, გონიერებისა და სიდინჯის ამ უკიდურესი დეფიციტის ჟამს, სწორედაც მისასალმებელი და იმედის მომცემია“.

აი, სხვა „ნაცნობ სახეებს“ კი ვერა და ვერ შეელია ბატონი მიხეილი, ხან გრძელი როქი გააკეთა, ხან — მოკლე და თავისი ხალხი ისევ სავაზნეში ჩააწყო. უშიშროების საბჭოს მდივნად საქართველოს მოუშორებელი ჭირის-უფლის ეკა ტყეშელაშვილის დანიშვნისა არ იყოს.

გაოცებული ხალხი ლობე-ყორეს ედება, რა გახდა ეს ქალბატონი, კვალზე დამდგარი სეტერივით რომ დაარბენინებენ ადგილიდან ადგილზეო. ოდესმე, როცა დამსახურებული ბებია გახდება, შაჰრაზადის ზღაპრებივით წარმტაცი სასმენი იქნება მისი მოგონებები: „მე რომ იუსტიციის მინისტრი ვიყავი... მე რომ გენერალური პროკურორი ვიყავი... მე რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი... მე რომ უკვდავი კაშჩეი ვიყავი...“ რა თქმა უნდა, მაშინ იმას მნიშვნელობა ალარ ექნება, ყოფნით კი იყო, მაგრამ, რომ იყო, რა გააკეთაო. ფაქტი ხომ ფაქტად რჩება — იყო!

სიტუაციის გადარჩენის მეორე გზად ბატონმა პრეზიდენტმა თავისი უფლებების შეკვეცა და ამ „შეკვეცილის“ პარლამენტისთვის გადაცემა დასახა.

თუმცა ვინ დაუფასა! პარლამენტი უკვე შეუდგა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე მუშაობას, მაგრამ ჩვენს უმადურ ოპოზიციას რომ ჰკითხო, ყველაფერი ბლეფი და მისტიკააო! პრეზიდენტს რომ პარლამენტის ორჯერ დათხოვნის უფლება „ერთმევა“, ნეტავ ამ ჯიბის პარლამენტის ერთხელ დათხოვნის საშიშროება როდის იდგა, რომ ორჯერ დათხოვნა ვერ შეძლოს საყოველთაო რეფერენდუმის გარეშეო და ა. შ.

# დამარცხ(ჯვ)ება და იკლიკანტური შეგონება



ასე რომ, გადემოკრატობის ეს აშკარად გამოკვეთილი და იშვიათი ნაბიჯი არაფრად ჩაუთვალეს.

მთავრობის სხდომა ვიხილეთ იმ დღეს ტელევიზიით, ასე ვთქვათ, ძველი წლის დასამშვიდობებელი და ახლის დამკვალიანებელი (კაცმა რომ თქვას, ის ერთსაათიანი პირდაპირი ჩართვა მხოლოდ იმის ჩვენება იყო, აი, რა მზრუნველი და თქვენზე გადამკვდარი ხელისუფლება ვართო, თორემ მთავრობის სხდომას რად უნდა ტელევიზიით პირდაპირი ჩვენებაძ.

პრეზიდენტმა პრეამბულად წარუძღვარა, მაშინ, როცა ხალხი გოჭებს წვავს და ინდაურებს ასაცივებს, ჩვენ, საწყლები, ამ კვირა დღესაც ვშრომობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთო.

მან, როგორც სჩვევია, იდილიური სურათი დახატა: 900 ათასი უპოვარი (ეს რიცხვი დასახელდა სიღარიბის ზღვარზე მყოფ ადამიანთა რაოდენობადძ ზურგზე მოგდებული გოჭებითა და ინდაურებით მიიჩქარის ბაზრიდან შინ, ხელებდაკაპიწებული, ოფლგადამდინარე ხელისუფლება კი ნიჩბებითა და ძალაყინებით ხელში მსოფლიო კრიზისის შემაჩერებელ კედელს აგებს.

სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: ეს ხალხი ასე ერთსულოვან-მასობრივად ვერც გოჭებს წვავს (ძალიან ძვირია — 140-200 ლარი ღირსძ, ვერც ინდაურებს ასაცივებს (ინდაური 40-100 ლარი, ხოლო ნიგოზი 18-25 ლარი ღირსძ და არც 115 ლარი სამომხმარებლო კალათი ეიმედება სამომავლოდ.

ამდენად,ბატონ პრეზიდენტს გოჭურ-ინდაურული ხუმრობა ნამდვილად არ გამოუვიდა, მით უფრო, რომ უგოჭ-უინდაუროდ დარჩენილმა ელექტორატმა მშვენივრად იცის, რომ ჩვენს დღედაღამ გარდარეულად მომუშავე ხელისუფლებას გოჭი და ინდაური ბაზარ-ბაზარ ხათქუნისა და ქლოშინის გარეშეც მიუვათ შინ, თანაც უკვე შემწვარი და ჩასაცივებული და, კაცმა რომ თქვას, ეს სიკეთე არც სხვა, სადაგ თუ უქმე დღეებში აკლიათ.

პრეზიდენტს თვითკმაყოფილი და ბედნიერი სახე ჰქონდა: თუმცა მთელ მსოფლიოში გაქანებული ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისია, იგი ჩვენ არ შეგვეხება, თუ ჩემი წინასწარჭვრეტის შესაბამისად ვივლითო, პირიქით, რაკილა „საშენი მასალები და საწვავი ფანტასტიკურად გაიაფდა“, შეგვიძლია ვაშენოთ და ვაშენოთ, დაუსრულებლად ვხნათ და მოვიწიოთ მოსავალი და ქვეყნის გარეთ გავყიდოთო.

მოკლედ, ბედნიერი 2009 წელი გველის, თუ... პოლიტიკურ სტაბილურობას შევინარჩუნებთო.

ეს ბოლო შეგონება შეგვაპარა ძალზე მოქნილად და იკლიკანტურად.

გამგებმა გაიგოს: იქნება პოლიტიკური სტაბილურობა, თუ ეს ჩვენი ღრიანცელა ოპოზიცია დაეტევა თავის ტყავში, კისერს მოვუგრეხთ კრიზისს, თუ არა და, ქვეყანას ღელა ეტირება, რაც დღეს უკრაინაში, რუსეთში და სხვაგან ხდება, მონაგონი იქნება, ყველაფერი გაჩერდება და დაემშვიდობეთ გოჭებსა და ინდაურებსო.

ამ პოლიტიკური სტაბილურობის შესახებ ნართაულ ჩაკვრას მეორეც მოჰყვა: 2013 წელს, როცა საპრეზიდენტო ვადა დამიმთავრდება, ქვეყნის ყველა სკოლა ევროპულ დონეზე გვექნებაო, ანუ დანარჩენი სხვა ყველაფერიცო, ანუ ჩემი პრეზიდენტობის დარჩენილ წლებში ქვეყანას წალკოტად ვაქცევო; ანუ, რაც აქამდე ვქმენ, თქვენი მოგონილი იქნება, თქვენ აწი უნდა ნახოთო...

არც იმის თქმა დავიწყებია, მსოფლიოში ყველაფერში პირველები რომ ვართ, მართალია, ამ პირველობის მასშტაბს ამჯერად კუდი მოეკვეცა, მაგრამ ერთი პირველობისთვის მაინც გამოგვაკვრევინა ხელი — დევნილებისთვის სახლების აშენების ტემპით პლანეტაზე მჯობნი არ გვყავსო.

დევნილების ყოველწლიური მატებითაც რომ ყველაზე წინ ვართ, ეს თავისთავად იგულისხმებოდა.

არადა, მოჯარულან ეს ჩვენი ღოლრიალა ოპოზიციონერები და ელექტორატს ხეხავენ, გაზაფხულზე რიგგარეშე პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩავატაროთო, ამ პრეზიდენტს წირვა აქვს გამოყვანილიო.

მერე, გამოვა ვითომ ეგ?

რა, ხალხს ალარაფერს ეკითხებიან?!

**ალეკო ასლანიშვილი**

გვწერენ

# თუმცა დიდი ცოდვა არ არის...

## მაინც სასურველია განსახილველ საკითხებში ღრმად ჩახედვა



**ჰამლეტ ჭიპაშვილს კარგი პოლიტოლოგის სახელი აქვს და ეს სახელი მას ავალდებულებს, უფრო ღრმად ჩაიხედოს განსახილველ საკითხებში.**

კერძოდ, ლაპარაკია, რომ საქართველო დაღუპა იმან, რომ ის აზერბაიჯანის ენერგოშემცველების დერეფნად გადაიქცა, და „იქნებ სჯობდა დიდი მეზობლის ჩართვა ამ პროექტში?“

მერე და ვინ მოგახსენათ, რომ არ იყო ასეთი მცდელობა? აზერბაიჯანის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა და მე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კასპიის ნავთობის გარკვეულ ნაწილს რუსეთზე გაევლო. მარშრუტი ასეთი იყო: ნავთობსადენი გაივლიდა გროზნოს, მივიდოდა ნოვოროსიისკამდე და შემდეგ დანიშნულების ადგილს მიაღწევდა.

ყველაფერი ყველგან შეთანხმებული იყო, „დიდი მეზობელიც“, როგორც ბატონი ჰამლეტი ამბობს, ამ ვარიანტს ეთანხმებოდა.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ გროზნოს ვარიანტი დღის წესრიგიდან მოიხსნა — აფხაზეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ჩეჩნებმა, პრეზიდენტ დუდაევის ხელმძღვანელობით, იარაღი რუსეთის წინააღმდეგ შეაბრუნეს და დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის ცნობილი ომი.

სხვათა შორის, როცა სოხუმში ვიყავი, ასეთი ვარიანტი ვიწინასწარმეტყველე კიდეც — ყველაფერი, რაც აფხაზეთში ჩაიდინეთ, ბუმერანგად დაგიბრუნდებათ-მეთქი.

ასე რომ, „დიდ მეზობელს“ ნავთობსადენისთვის ალარ ეცალა.

საქართველოს ხელისუფლებაში კი უგუნურები უნდა ყოფილიყვნენ, რომ აზერბაიჯანულ ნავთობსადენსა და გაზსადენზე უარი ეთქვათ.

როგორც ვთქვი, ბატონ ჰამლეტს, როგორც პოლიტოლოგს, პატივს ვცემ, მაგრამ პოლიტოლოგმა ეკონომიკური პროექტის ყველა დეტალი რომ არ იცოდეს, არც ესაა დიდი ცოდვა.

**ედუარდ შევარდნაძე**

◎ იმედი

# „მე შვილი სამშობლოსთვის გავზარდე“

## პატარა ნიკოლოზ ყულოშვილის პირველი ახალი წელი


ნინო კანდელაკი პატარა ნიკოლოზთან ერთად

**კაპიტან ერეკლე ყულოშვილის გმირობის ამბავი უკვე მთელმა საქართველომ გაიგო: მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაური 8 აგვისტოს საავიაციო დაბომბვისას გმირულად დაიღუპა ცხინვალის მისადგომებთან.**

ერეკლე ყულოშვილი 1978 წელს დინარი და მიხეილ ყულოშვილების ოჯახში დაიბადა. დედის ნაამბობით, ერეკლე საინგილოში, კახში გაიზარდა. მე-8 კლასიდან კახის რაიონის №1 ინტერნაციონალურ სკოლაში სწავლობდა.

—სხვა ოჯახების მსგავსად, ჩვენც ჩვეულებრივად ვცხოვრობდით,—ამბობს ქალბატონი დინარი,—დიდი ეზო გვქონდა. ჩვენი ხელით ვუვლიდით, ერეკლეც შრომაში გაიზარდა, ძალიან უყვარდა იქაურობა. მისი თანატოლები ყოველ ახალ წელს ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ, მხიარულობდნენ. სოფელში ერეკლე ძალიან უყვარდათ და დიდ პატივს სცემდნენ. მთელი სოფელი ტირის მის გამო...

საინგილოს ფესვებით ნასაზრდოებმა მისმა უზომო სიყვარულმა სამშობლოსადმი შედეგი აგვისტოს ტრაგიკულ დღეებში გამოიღო. მანამდე კი ერეკლე ყულოშვილმა პატარა, მაგრამ ღირსებით გამორჩეული ცხოვრება განვლო: დაამთავრა საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემია არტილერისტის სპეციალობით, მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაურის მოადგილე 2007 წელს იმყოფებოდა ერაყში, ქართული სამშვიდობო მისიის შემადგენლობაში. 2008 წელს იგი დაინიშნა მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაურად.


ერეკლე ყულოშვილი (შუაში) თანამებრძოლებთან ერთად

— ძალიან უყვარდა სამხედრო სამსახური. ღამეებს იქ ათენებდა. იმდენად დიდი იყო ეს სიყვარული, არასდროს მითქვამს, შვილო, დაისვენე, არ წახვიდე-მეთქი. ვერც ვეტყოდი...უზომოდ მოწესრიგებული და ძალიან პუნქტუალური იყო.

შვილმკვდარი დედა ვარ, მაგრამ მე იგი სამშობლოსთვის გავზარდე. ეს სულისკვეთება იყო ჩემთვის მთავარი...

ქალბატონი დინარი იხსენებს აგვისტოს დღეებს, იმ წუთსაც, როცა გულმა უთხრა ძალიან ცუდი რამ...

— ორიდან სამ საათამდე 5 წუთით მოვწყდი. ეს არ იყო ძილი, არამედ წუთიერი რაღაც გადართვა...ერეკლეს ხმა გავიგე, ისეთი ხმით დამიძახა, მეგონა, შემოვიდა-მეთქი. ნინოს, მის დას ვუთხარი, რაღაც მოხდა, მგონი, ერეკლე დაჭრილია-მეთქი. ენა როგორ იტყვის, რომ დაიღუპა... ჩემი შვილი მკვდარი არ არის...

ეს ხილვა 8-ში ჰქონდა. მას შემდეგ შვილს ეძებს. „ყველამ დამიმალა, რომ ერეკლე ცოცხალი აღარ იყო, მეც დაჭრილი მეგონა. მაშინვე სიმართლე რომ ეთქვათ, მისი ცხედრის გამოტანას შევძლებდი. შემდეგ კი ეს ძალიან გართულდა...

ის დღეები სულ გორში იყო და ნატრობდა, ეძებდა შვილს. ცხინვალიდან გორის მიმართულებით გადმოჰყავდათ გარდაცვლილი და დასახიჩრებული ქართველი მეომრები...ერეკლე ვერსად ამოიცნო. გმირი არტილერისტის დედას ყურადღებას არ აკლებდნენ, თავად გივი თარგამაძე ეხმარებოდა, ატყობინებდა ცხედრების გადმოსვენების შესახებ...

„მინდა, რომ ერეკლეს შვილს, როცა გაიზრდება, მამაზე ვუამბო და მის გმირობაზე აღვზარდო,“—ამბობს ქალბატონი დინარი.

ერეკლეს მთელი საინგილო გლოვობს. კახის წმინდა გიორგის ეკლესიაში მას პარაკლისი გადაუხადეს, სამ ქართულ სკოლაში გამოიფინა ერეკლეს სტენდი სურათებით. მის გმირობაზე ლექსები დაიწერა...იქაური ქართველები ამბობენ, რომ საინგილოს ისტორიას ახალი ფურცელი შეემატა, ასეთი გმირი ამ კუთხეს არ ჰყოლიაო...

კახის ეკლესიის ეზოში პანთეონია, რომელსაც სხვა დიდი ქართველი მამულიშვილების სახელების მსგავსად, ერეკლეს სახელიც შეემატება. ოჯახმა წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, კახის წმ. გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიის ეზოში მდებარე პანთეონში ერეკლე ყულოშვილის მემორიალის აღმართვის თაობაზე.

ერეკლე ყულოშვილი სიცოცხლეში დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით, ასევე, მედლით „მამაცობისათვის“. იგი წარდგენილია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე.

**და რაც ყველაზე არსებითია: ერეკლე ვერ მოესწრო შვილის დაბადებას. როცა იგი გარდაიცვალა, მისი მეუღლე ნინო კანდელაკი შვიდი თვის ფეხმძიმე იყო. პატარა ნიკოლოზი მამის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, ახლა იგი ორთვენახევრისაა.**

**ნაძვის ხე და მოციმციმე სათამაშოები მოსწონს.**

**მოდის ახალი წელი, პატარა ნიკოლოზ ყულოშვილისთვის ეს პირველი ახალი წელია. მშვიდობიანი და ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისთვის და სრულიად საქართველოსთვის!**

თამარ შაიშმელაშვილი

◎ გამორჩეული მეოცესაუკუნელი

# ლეო კვაჭაძის ასმეერთე ახალი წელი

**...ბაბუაჩემი ხშირად მიყვება თავის სტუდენტობაზე, იმ ავბედით წლებზე, რომლებიც მის ახალგაზრდობას დაემთხვა და ერთგვარი ნოსტალგიით იგონებს ხოლმე მაშინდელ ამბებს. განსაკუთრებით ხშირად და დიდი მოწიწებით ჰყვება თავის ერთ გამორჩეულ პროფესორზე, ადამიანზე, რომელსაც მთელი საქართველო კარგად იცნობს და რომლის წარდგენაც საზოგადოებას არ სჭირდება. ვგულისხმობ ცნობილ ენათმეცნიერს, ქართული ენის სახელმძღვანელოების ავტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ ლეო კვაჭაძეს.**



...სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მასთან შეხვედრისა და გასაუბრების ბედნიერება მხვდებოდა წილად, მაგრამ, როგორც ჩანს, უფლის ნებით ყველაფერი ხდება... ბატონი ლეო სწორედ ღვთის რჩეულია და ამას, სხვა თუ არაფერი, მისი ასაკიც მოწმობს...

..1908 წელს დაბადებულმა ამ სახელოვანმა ქართველმა საუკუნოვან ცხოვრებაში ურთულესი პერიოდები განვლო. ის მომსწრეა პირველი რესპუბლიკის, მისი დამხობისა და შემდგომში განვითარებული მოვლენებისა. კომუნისტური რეჟიმის სიმკაცრე და სისხლიანი რეპრესიებიც გამოსცადა. გამოიარა თითქმის ყველა უბედურება, რაც ამ ქარიშხლიან დროს ახლდა, მაგრამ მისი ზნეობრივი პიროვნება მაინც უდრეკი აღმოჩნდა ეპოქის მძიმე განსაცდელის წინაშე.

— საუკუნე განვვლე, დაბადებული ვარ 1908 წელს, — გვიყვება ბატონი ლეო, — ბავშვობა, ათ წლამდე, სვანეთში გავატარე, შემდეგ გურიაში ვცხოვრობდი. მინახავს ნოე ჟორდანია, რომელსაც სტუმრად ჰყავდა უცხოელი სოციალისტები და მახსოვს ზეიმი, რომელიც მაშინ გაიმართა; იქვე, ჟორდანიას სახლის გვერდით, დიდ მინდორზე აღმართეს ტრიბუნა, სიტყვით გამოვიდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობას ულოცავდნენ. ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს, ყველას უხაროდა, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, 1921 წელს საქართველოს კვლავ უბედურება დაატყდა თავს, შემოვიდა მეთერთმეტე წითელი არმია, რომელსაც წინ ჩვენი მიწა-წყლის კაცი სერგო ორჯონიკიძე მოუძღოდა... ქვეყანა განადგურდა, დაანგრიეს და მოსპეს ყველაფერი. უგვანო ქართველთა ხელშეწყობით, რუსებმა განახორციელეს ის, რაც ჩვენთვის სასიკვდილო აღმოჩნდა. ხალხი საშინელ დღეში იყო, კომუნისტური რეჟიმი სულ უფრო და უფრო აუტანელს ხდიდა ცხოვრებას, მაგრამ მან საზოგადოება მაინც ვერ გატეხა, 1924 წელს მოხდა აჯანყება, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართველი ერი არასდროს არ შეურიგდებოდა მონობას. აჯანყება, რა თქმა უნდა, სისხლში ჩაახშვეს, დახოცეს უამრავი ადამიანი, მათ შორის ილია ჭავჭავაძის დისშვილი, კორნელი კეკელიძის, კიტა აბაშიძის და ვაჟა-ფშაველას შვილებიც. როცა ორჯონიკიძეს სთხოვეს, ვაჟას შვილს ნუ დახვრეტთ, შეიწყალეთო, მან ასე უპასუხა — ვაჟას შვილი კი არა, თავად ვაჟა რომ იყოს, მასაც დავხვრეტდიო...

შემდგომი წლებიც არ იყო მშვიდობიანი, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან ფხიზლობდა. უნივერსიტეტში (მაშინ უნივერსიტეტი ერთი იყო) შეიქმნა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, სადაც თავი მოიყარა სტუდენტობის საუკეთესო ნაწილმა. ეს ორგანიზაცია აქტიური ანტიკომუნისტური საქმიანობით გამოირჩეოდა, ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი გაეკეთებინათ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად, მაგრამ 1928 წელს ყველა სტუდენტი დაიჭირეს და ექვსი წლით გადაასახლეს შორეულ რუსეთში, მათ შორის იყო ჩემი ძმაც...

1937 წელს ისევ უბედურება დატრიალდა, დაიწყო სისხლიანი რეპრესიები, დაპატიმრებები, გადასახლებები, დახვრეტები. ქვეყანა ჯაშუშებით გაივსო, ხალხს ხმის ამოღების ეშინოდა. მოსწავლე მასწავლებელს აბეზღებდა, სტუდენტი — ლექტორს, საზოგადოება საშინელი წნეხის ქვეშ იყო. ამ რეპრესიებში მოყვა ჩემი ძმაც, რომელიც მაშინ სამეცნიერო მოღვაწეობას იწყებდა და მწერლობაშიც პირველ ნაბიჯებს დგამდა. ის ახალდაბრუნებული იყო ექვსწლიანი გადასახლებიდან და სწორედ მაშინ გამოვიდა კანონი, რომლის თანახმადაც, ყველა, ვინც გადასახლებაში იყო ნამყოფი, უნდა დაეხვრიტათ... მასთან ერთად უამრავი ახალგაზრდა სიკვდილით დასაჯეს...

რეპრესიები მეც შემეხო, მაგრამ მიხსნეს, მერვე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრობისათვის დამაპატიმრეს და სერიოზული სასჯელი მემუქრებოდა... შემდეგ ვითარება ძალიან დაიძაბა, გურიაში უკვე ველარ დავრჩებოდით, საცხოვრებელი უნდა შეგვეცვალა. მართალია, მამაჩემს, 1924 წლის აჯანყების დროს ხელში თოფი არ სჭერია, მაგრამ თანაუგრძნობდა აჯანყებულებს და იძულებული გავხდით, ლანჩხუთიდან სვანეთში გადავსულიყავით. სვანეთმა ძალიან თბილად მიგვიღო, მამაჩემის ღვაწლი დააფასეს და მერე იუბილეც გადაუხადეს...

გურიაში რომ დავრჩენილიყავით, ღმერთმა უწყის, რას გვიზამდნენ, ალბათ მამაჩემს დახვრეტდნენ — იხსენებს ასი წლის ღვაწლმოსილი მეცნიერი და აქვე გულისტკივილით საუბრობს ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობაზეც — გულმოკლული ვარ იმით, რაც დღეს საქართველოში ხდება და, სამწუხაროდ, ეს ყველაზე მეტად ჩვენი ბრალია... ქვეყანა წალეკა ათასგვარმა უბედურებამ და საშინელებამ, ძალიან რთული დრო გვიდგას. შეცდომა წარსულში უამრავი დავუშვით, მაგრამ ახლა მათ გამოსწორებაზე უნდა ვიფიქროთ... მსურს რომ ყველა ქართველი ღირსეულად ქართველობდეს, მამულიშვილობა არ დაივიწყოს, აკეთოს ის, რაც ქართველ ერს გამოადგება და ერთმანეთში მტრობისა და ქიშპობის ნაცვლად ძმობა, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა დაგვითესოს. თუ ამას შევძლებთ, გადავრჩებით და ვიარსებებთ, თუ არადა, ისედაც დამარცხებულები ვართ და საბოლოოდაც დავმარცხდებით, — დაასრულა თხრობა.

**ბატონ ლეოს სათქმელს რა გამოულევს. უამრავი სურვილი და ნატვრა აქვს, როგორც სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს. დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთხელ შევხვდებით და იმედი მაქვს, მაშინ უფრო ოპტიმისტურები ვიქნებით აწმყოსა და მომავალზე საუბრისას. მანამდე კი ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან რესპონდენტს, სიკეთის მომტანი ყოფილიყოს მისთვის და მისი ოჯახისთვის დამდეგი 2009 წელი.**

ჯაბა ჟვანია

ჭირი დანახული ჯობს

*ხვავრიელად მოთოვა თბილისში. თეთრად გადაპენტა ქუჩები, წინა ღამით მოყინულზე გავლა გიძნელდება, მაგრამ ზამთარს თავისი ხიბლი აქვს და თოვლი უხდება. შიშით მივუყვები მოლიპულ გზას რედაქციისკენ, თან ვფრთხილობ, 51-ე საჯარო სკოლის წინ აჟრიამულებულმა ონავრებმა გუნდები არ დამიშინონ. სწორედ ამ სკოლის წინ უნდა ჩავიარო, რედაქციას რომ მივაღწიო. ხალისობენ ბავშვები, ზოგს სწავლა დაუმთავრებია, ზოგს ჯერ არ დაწყებია და უმეტესობა... პირველად მოთოვა წლეულს და გაკვეთილებს არად დაგიდევთ.*

# „ვენდეტა“, ცეკვა, ხატვა, კალათბურთი და...

## რატომ დააქვს პატარა ლაშას უზარმაზარი ჩანთა?

ყურადღებით ვაკვირდები გუნდამომარჯვებულ ბიჭუნას. სახე ნაცნობი აქვს, ის ხომ ყოველ დილით მხვდება სკოლისაკენ მიმავალი თავისი გორგოლაჭებიანი ჩანთით. თვალებში ეშმაკუნები უფართხალებს, მოღიმარ სახეს ჭორფლი უხდება და ჩამოფხატული ქუდიდან ქერი თმა ჩამოშლია. ყოველთვის მსურდა გავსაუბრებოდი. ახლა საბაბი მომეცა... ამას წინათ საბავშვო იუმორისტულ კინოჟურნალ „საშლელს“ ვუყურებდი და მის გმირს მივამსგავსე.

— გამარჯობა, პატარა მსახიობო, მე შენ გიცნობ...

— მე მსახიობი არა ვარ, მე კალათბურთელი და მხატვარი ვარ, — გაიღიმა და გუნდა გვერდით მოისროლა.

საინტერესო მოსაუბრეც აღმოჩნდა ჩემი ძველიახალგაცნობილი ბიჭუნა, 51-ე საჯარო სკოლის მესამეკლასელი ლაშა თარგამაძე. იგი სკოლაშიც და თავის სხვა თანატოლებშიც პოპულარულია. მისი განსაკუთრებული მომხიბვლელი გარეგნობა ყველაზე პირველად ცნობილმა ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა შეამჩნია. ხელოვანის თვალს რა გამოეპარება და ასე გახდა ლაშას პორტრეტი ჩანადირის ფოტოგამოფენის ექსპონატი. მაშინ პირველ კლასში იყო, სასკოლო ოთახიდან გამოსული დედას ელოდებოდა. შემდეგ ფრთხილად თავისი უფროსი ძმის დათოს კლასისკენ წავიდა. ამ დროს ფოტოკამერაც განათდა და... პირველ ფოტოებს უამრავი სხვა საინტერესო კადრი მოჰყვა.

გათამამებულმა და შეგულიანებულმა ლაშამ მონაწილეობა მიიღო „რუსთავი-2“-ის პროექტ „საშლელის“ შესარჩევ ტურში — ახლა რომ ქასტინგს ეძახიან და გაიმარჯვა კიდეც. მთავარი როლი შეასრულა ერთ-ერთ სერიალში „ვენდეტა“, სადაც ქართველების საყვარელმა მსახიობმა თამარ სხირტლაძემ გაუწია პარტნიორობა.

— აბა, რატომ მითხარი მსახიობი არა ვარო? — ვეკითხები უკვე დიდი ხნის მეგობრებივით გაშინაურებულ ლაშას.

— ახლა მოსწავლეთა სასახლეში გივი მასწავლებელთან (გივი ბურდულიძ ვცეკვავ ჩემს ძმასთან ერთად ანსამბლ „ყაზბეგში“, მუსიკაში მანანა მასწავლებელთან (მანანა მდივნიშვილიძ ვმეცადინეობ, ხატვაში ლილი ნეფარიძესთან და...

— კარგი კაცო, კიდევ დადიხარ სადმე, დარჩა ხელოვნების დარგი, შენ რომ არ დადიოდე? — მეღიმება.

— როგორ არა, კალათბურთზეც დავდივარ ვაჟა კვარაცხელიასთან.

— ალბათ, ამიტომაც დაგაქვს გორგოლაჭებიანი ამხელა ჩანთა.

— აბა რა (ეცინება), ყველაფერი ხომ უნდა ვატარო, ისე ჩანთის ტარებაში ხანდახან ძეთო ბებია მეხმარება, თუმცა რა სატარებელი, თავისით მიგორავს.

— სწავლას თუ ასწრებ?

— ეგ ჩემს დამრიგებელს რუსუდან მასწავლებელს ჰკითხეთ (პედაგოგი რუსუდან დვალაძე).

ზარიც დაირეკა. მე რედაქციაში მეჩქარება — დავალება მაქვს მისატანი — ლაშას კი გაკვეთილებზე. ჩვენ უკვე მეგობრები ვართ. ჩუმად ჩართული დიქტოფონი გამოვრთე.

— რომელ გაზეთში უნდა დაბეჭდო? — მეკითხება ლაშა.

— საიდან მოიტანე, რომ უნდა დავბეჭდო? უბრალოდ გაგეცანი.

— როგორ არა, აბა დიქტოფონი, რომ გქონდა ჩართული?

რას გამოაპარებ პატარა ვუნდერკინდს.

— „საქართველოს რესპუბლიკაში“ თუ დამიბეჭდეს, აუცილებლად შეგატყობინებ.

— რატომ არ დაგიბეჭდავენ, ცუდად დაწერ? — მემშვიდობება და გარბის.

მეცინება. საახალწლოდ სიურპრიზი მინდა გავუკეთო ჩემს პატარა მეგობარს. ფოტოებს კინოჟურნალ „საშლელიდან“ ამოვიღებ.

ვულოცავ ლაშას და ყველა მის თანატოლს დამდეგ ახალ წელს. ერთდროულად ლაშა მსახიობი, მხატვარი, მუსიკოსი, კალათბურთელი და მოცეკვავე ვერ გამოვა (თუმცა არც ესაა გამორიცხული), მაგრამ ხელოვნების და სპორტის სიყვარული ექნება, სიბეჯითეს ბავშვობიდანვე რომ ეზიარა, მთელი ცხოვრება არ უღალატებს. საქართველოს კი ახლა სჭირდება ისე, როგორც არასოდეს, ნიჭიერი, მართლაც ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილი გოგო-ბიჭები. „საშლელში“ დაწყებული ბედნიერი ბავშვობა კი არასოდეს ამოიშლება ლაშა თარგამაძის ცხოვრებაში.

ღმერთმა გვისმინოს!

**ნია ფიფია**



ზეიმი ტკივილით

# მშვიდობის იმედი გვასულდგმულებს

**იქ ამ დროს უკვე თოვლი იდო... სახლში შეშის ღუმელი მხიარულობდა... ოჯახის წევრები ფაციფუცობდნენ.** ღორის თავის მეკვლისთვის გამზადებას და წითელი ღვინის ჩამოსხმას მამა აგვარებდა, ხაჭაპურების გამოცხობას ბებია არ ანებებდა არავის, დანარჩენს კი დედა და ნაწილობრივ ჩვენც ვინაწილებდით. მეზობლები ერთმანეთთან გადადიოდნენ... მთელი ხეობა საახალწლო სამზადისით იყო გართული. ბოლო „აკორდად“ დედაჩემი, რატომღაც, ყოველთვის გოზინაყს შემოინახავდა და ცხელ-ცხელს იმ დროს ჭრიდა და აწყობდა თეფშებზე, ისრები თორმეტის შესრულებას რომ ეპირებოდა.

მერე თორმეტიც დადგებოდა... მამა წინასწარ გაწმენდილ იარაღს გადმოიღებდა და ცაში სროლით ახარებდა ოჯახსა და მეზობლებს კიდევ ერთი წელიწადის გასტუმრებას. ლიახვის ხეობაში ახალი წლის ღამისცას დიდი გაძლება უწევდა შედლუხებისგან. შემდეგ კი, დაიწყებოდა ქეიფი, მეზობლებთან გადასვლა და იმედიანი სადღეგრძელოები.

...თოვლი იქ ახლაც დევს, ძველი წელიწადი ილევა, მაგრამ ახალი წლის დადგომას დამწვარი, მასპინძელმოშორებული სახლები ტკივილით იზეიმებენ.

აი, ახლა, ამ წუთას სუნი მეცა. ის სუნი! მთელი არსებით შევიგრძენი — ეს ჩემი სახლის სუნია... ისეთი, მხოლოდ ჩემს სახლში რომ იდგა და მისი ყველა ბინადრის წარსულს ინახავდა... იმდენად ცხადად ვიგრძენი, რომ თავი ავწიე... მიმოვიხედე. სამწუხაროდ, სხვა სურათი ვიხილე.



ელექტროგამათბობელს, რომელიც თავს ძლივს ითბობს, უფრო მივეხუტე... მას იმ სითბოს გამოყოფა სად შეუძლია, იქ რომ იყო. გარემო, ეს ოთახი, ყველა ნივთი ისეთი უცხოა. მათთან თითქმის არაფერი მაქვს საერთო... ისინი ვერც ამ ძველ, განვლილ წელს მახსენებენ და ვერც ახალი წლისას მეუბნებიან რამეს. დროის მაჩვენებელი კი კედელზე თავის მოვალეობას ასრულებს. ახალი წელი მაინც მოდის... აგერ, ტელეფონიც აღარ ჩერდება: ზარები შავშვებიდან, წეროვანიდან, კოდიდან... ეს ის თანასოფლელები არიან, ახალ წელს ერთად რომ ვხდებოდით, ახლა კი... მესმის, როგორ ულოცავენ მამაჩემს, დედაჩემს. მესმის უიმედო იმედები...

სწორედ ჩვენზე უთქვამთ: რაც ძველი იყო, ძველი წლისთვის გაგვეტანებინოთ და ახალ წელს ახალი ცხოვრებით შევხვედროდეთო... ყველაფერი, მართლაც, როგორი ახალია, 2009 წელს სრულიად ახალი ცხოვრებით ვხვდებით. კიდევ ერთხელ თავიდან ვიწყებთ ახალ ცხოვრებას. ყველაფერი, ცუდიც და კარგიც, გვინდოდა თუ არა, მართლაც, გავატანეთ ძველ წელს. ყველაფერი, გულუხვად მივაყოლეთ — ჩვენი მიწა, ჩვენი ხეობა, ჩვენი საშინელი დღეები და ახალ წელს მშვიდობის იმედით ვხვდებით — მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა...

ნეტავ, ეს ის მშვიდობაა, ომის შემდეგ რომ უნდა გვეშინოდეს?!..

მე კი ეს მშვიდობა ჯერ ისევ ძალიან მტკივა. ახალი წელი კი, საბედნიეროდ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მოვა...

**თამარ ბუზალაძე**

ინფორმაცია

## ილია მეორე – დღეს ქართველი ერი დათრგუნულია, მაგრამ ღვთის მადლით საქართველოს მომავალი აქვს

**საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე კვლავ შეეხო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თემას.**



**დღეს ქართველი ერი დათრგუნულია, მაგრამ ღვთის მადლით საქართველოს მომავალი აქვს. კარგი მომავალიც ექნება, თუ ჩვენ სიბრძნით მივუდგებით არსებული პრობლემების გადაწყვეტას, — აღნიშნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.**

**მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრამ მისცა იმედი, ხოლო რუსეთის დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა კიდევ ერთხელ მეტყველებდა, რომ არსებობს გზები საქართველოს გამთლიანებისთვის.**

**ეს პროცესი დაწყებულია. ჩვენმა ხელისუფლებამ აქტიურად უნდა გააგრძელოს იგი და ბოლომდე მიიყვანოს, —ბრძანა საქართველოს პატრიარქმა.**

## დაწესდა პატრიარქის სახელობის სტიპენდია

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის სახელობის სტიპენდია დაწესდა.**

**საპატრიარქოში უწმინდესმა გუშინ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორ-მასწავლებლები და ორი სტიპენდიატი მიიღო.**

**როგორც შეხვედრაზე უწმინდესმა ბრძანა, მისთვის ორმხრივად სასიხარულოა ამ სტიპენდიის დაწესება, რადგანაც თავადაც სტიპენდიატი იყო.**

**— რვა წლის განმავლობაში ვსაწვლობდი სასულიერო სემინარიაში, შემდგომ აკადემიაში და იმდენად წარმატებული სტუდენტი ვიყავი, რომ სასულიერო აკადემიის სხვა სტუდენტებს ნაშრომებს ვუსწორებდი. სასწავლებლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჩემთვის სტიპენდია დაენიშნათ. ეს საკითხი რუსეთის მაშინდელმა პატრიარქმა გადაწყვიტა — ბრძანა ილია მეორემ.**

**უწმინდესმა უნივერსიტეტის რექტორს გია ხუბუას მთავარანგელოზის გამოსახულებიანი ოქროს მინანქრის გულსაკიდი აჩუქა. თავად სტიპენდიატებს კი დაურიგა წიგნები სახელწოდებით „მზიანი ღამე“, რომელშიც პატრიარქის ცხოვრებაა ასახული. მათვე გადაეცათ ვერცხლის სამაჯურები წარწერით — „უფალო, შეგვიწყალე“.**

**სტიპენდიატებს ყოველწლიურად გადაეცემათ 200 ლარი. წლევანდელი სტიპენდიატები გახდნენ დოქტორანტები მაია დანელია და ლერი თავაძე.**

ინტერპრესნიუსი

ნოსტალგია

# გურამ ოდიშარია: ...სულ სხვა იყო სოხუმში მორთული ნაძვის ხე უკიდეგანო ზღვის ფონზე



***რა გვექეიფება, რა გვეხალისება, რა გვეახალწლება... მაგრამ ღვთის მიერ ნაბოძებ სიცოცხლეში ყოველთვის არის ნათელი სხივი, იმედის სხივი, რის გამოც არ შეიძლება ზურგი აქციო ყოველდღიურობას თავისი ნაკლითა თუ ხიბლით.***

***წინასაახალწლოდ მწერალ გურამ ოდიშარიას ვესტუმრეთ და ვთხოვეთ წარსულის, იმ ძვირფასი და დაუვიწყარი წლების გახსენება, რომელიც მას აფხაზეთში გაუტარებია. როგორი იყო ათეული წლების წინათ ადამიანური ურთიერთობები და ყბადაღებული „პოლიტიკა“, გაიხსენებს ბატონი გურამი, რომელსაც არაერთი პროზაული თუ პოეტური თხზულება უძღვნია აფხაზეთისთვის, თავისი მშობლიური სოხუმისთვის.***

**— ბატონო გურამ, როგორ ხვდებოდით წლების წინათ ახალ წელს თქვენს მშობლიურ სოხუმში, რა განსაკუთრებული მოგონებები შემოგრჩათ, რით იყო ხოლმე გამორჩეული აფხაზური წეს-ჩვეულებები?**

— ახალი წელი ყოველთვის იყო რაღაც დიდი დღესასწაული. ჩემთვის ის უფრო ფილოსოფიურია, რადგან ამ დროს ვაჯამებ, ვაანალიზებ გასულ წელს, რა იყო კარგი. დასამახსოვრებელი კი სულ რამდენიმე დღეა, დანარჩენი არის უფერული და ერთფეროვანი.

აფხაზეთშიც ასე იყო. ტრადიციები ძირითადად ერთნაირი გვქონდა, მაგრამ მე გამოვყოფდი იმ თავისებურებებს, რაც ზღვისპირეთს ახასიათებს ხოლმე. ჩვენთან, სოხუმში, საურთიერთობო ენა იყო რუსული, ვინაიდან მრავალეროვანი ქალაქი იყო. აქ ცხოვრობდნენ აფხაზები, ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა. ახალი წლის დადგომამდე, 31 დეკემბერს, საღლაც ღამის 10 საათიდან ბავშვები, ახალგაზრდები კარდაკარ დადიოდნენ და მღეროდნენ: „სეიუ ბეიუ“-ს, ანუ ჩვენებურად, „ალილოს“. „სეიუ-ბეიუ პასევაუ, სნოვიმ გოდომ პაზდრავლაიუ, ხაზიაიკა, ოტკრივაიტე სუნდუჩოკ, დასტავაიტე რუბლიჩოკ, იესლი ნეტუ რუბლიჩოკ, ატდავაიტე პიტაჩოკ“.

სახალხო დიპლომატიის ეგიდით ხშირად ვხვდები აფხაზებს, 2004 წელს ძველით ახალ წელს კი სოხუმში ვიყავი.

**— ეს თქვენი პირველი ჩასვლა იყო ომის შემდეგ?**

— დიახ, მანამდე გალში ვიყავი, ხოლო აფხაზებს სხვა ქვეყნებში ვხვდებოდი. მერე მითხრეს, რაღა სხვა ქალაქებში შევხვდეთო და სოხუმში მიმიპატიჟეს. იქ ოთხი დღე დავყავი, აფხაზების გარემოცვაში.

**— იქ სად იყავით, ვისთან?**

— მე ვცხოვრობ (არ ვამბობ ვცხოვრობდიძ იქ ძლუხორის ქუჩაზე. ჩემს ბინაში არ ვიყავი, იქ სხვა ცხოვრობს, თუმცა ვიყავი იქვე მეორე სადარბაზოში.

მაშინ ჩვენი პრეზიდენტი ახალარჩეული იყო, იქ ყველა იმედით შეჰყურებდა მას, ახლა მაინც მოწესრიგდება ურთიერთობა, ახალგაზრდა კაცია და ჩვენთან პირდაპირ დიალოგს შეეცდებაო. მათ უნდოდათ, რომ ამ ომისთვის თავისი სახელი დაერქმია, მაშინ სააკაშვილი შევარდნაძეს კორუფციაში ადანაშაულებდა, ამიტომ ამ ომის დაწყებასაც მას დააბრალებსო.

**— შევარდნაძეს აბრალებენ ომის დაწყებას?**

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, რომ ის დიპლომატი იყო და შეეძლო ომის თავიდან აცილება. განსაკუთრებით ის აფხაზები, რომლებიც გენეტიკურად არიან ქართველებთან დაკავშირებული, ბიძაშვილი, დეიდაშვილი ან მამიდაშვილი ჩვენთან ჰყავთ, საქართველოში ცხოვრობენ. განსაკუთრებული იმედით შეხვდნენ იმ ახალ წელს.

**— დიალოგი თუ დაიწყებოდა, შემდეგ რას ელოდნენ, ხომ არ ჰქონდათ რამე გეგმა, მონახაზი, როგორი იქნება ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრება?**

— უპირველესად, ისინი ითხოვდნენ ამ ომისთვის სახელი შეერქმიათ. ამის შემდეგ დაიწყებოდა დიალოგი და ფიქრი შემდეგ ნაბიჯებზე.

მთავარი ის არის, რომ ეს ომი არ არის ხალხებს შორის, ეს ომი პოლიტიკოსების ბრალია, ამიტომ მიუხედავად აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვისა და გართულებისა, აფხაზეთთან კარი ბოლომდე არ არის დახურული. თავისი გაგრძელება აუცილებლად მოჰყვება ახალ რეალობას.

2009 წელს ახალი რეალობა, ვფიქრობ, რომ წარმატებული დიალოგის უფრო მეტ შანსს მოგვცემს, ოღონდ ბრძნულად უნდა ვაწარმოოთ დიალოგი.

**— ზედმეტად ოპტიმისტური ხომ არა ხართ? ბატონო გურამ, ჩვენ გვინდოდა არაპოლიტიზებული საუბარი, თუმცა არ გამოგვივიდა, ამ თემას ვერ ავცდით. მოდით, დავუბრუნდეთ ოთხი წლის წინანდელ ახალ წელს, სოხუმში რომ შეხვდით...**

— ჰო, ახალ წელს იქაც დიდი სიხარულით ხვდებიან. მოვიდნენ ბავშვები და „სეიუ ბეიუ“ იმღერეს...

მახსენდება კარგი დრო. მორთული ქალაქი. იქ იყო მოედანი, სადაც ორი კაფე იყო — „ბრიგანტინა“ და „ჩერნომორეცი“, სადაც დროს ვატარებდით. დიდი ნაძვის ხე დაიდგმებოდა ხოლმე და საუცხოო სათამაშოებით იყო მორთული. იმ პერიოდში აქ მეტი ჩაკეტილები ხვდებოდნენ ახალ წელს, კახური „მრავალჟამიერით“, თუმცა სოხუმში აუცილებლად კაფეში ვხვდებოდით.




**— მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში რესტორნებში ახალი წლის შეხვედრა, არა?**

— ჰო, სოხუმში უფრო გარეთ გამოვდიოდით, მაგალითად, რესტორანი „რიწა“ ღია ცის ქვეშ იყო და იქ აღვნიშნავდით ახალ წელს. ჰავაც ისეთი იყო, კი არ ციოდა.

სულ სხვა ხიბლი ჰქონდა ნაძვის ხესაც, რომელსაც საოცარ ელფერს აძლევდა ზღვა, უკიდეგანო სივრცე, შორიდან მომავალი მოცურავე გემები. ზღვა განსაკუთრებით ირეკლავს მზეს ზამთარში, ამიტომ იქ ფერებიც კი ბევრად სხვაგვარია, ვიდრე ჩვეულებრივ: წითელი უფრო წითელია, ყვითელი უფრო ყვითელი...

**— განსაკუთრებული ტრადიციული კერძი თუ იყო?**

— თითქმის ერთნაირი სამზარეულო გვაქვს. განსაკუთრებული იყო ღომი და აფხაზური აჯიკა. მთელს სოხუმში ერთადერთი ადგილი იყო „ჩერნომორეცი“, სადაც ხინკალს აკეთებდნენ.

იხ. 7 გვ.

საახალწლო სენსაცია

# ვაა, მიშა ამერიკაში გადაჰყავთ?!

**წინასაახალწლო დღეებში პლანეტას სენსაციურმა ცნობამ გადაურბინა: სააგენტო „რია ნოვოსტის“ შეტყობინებით, თეთრი სახლის პრესმდივანმა დანა პერინომ განაცხადა, რომ ჯორჯ ბუში პოსტიდან წასვლის შემდეგ აპირებს დალასში „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაარსებას, სადაც მიიწვევს ისეთ პოლიტიკოსებს, როგორიც არის მიხეილ სააკაშვილი, რათა მოამზადოს მომავალი უცხოელი ლიდერები. ჯორჯ ბუშის ამ ნამეტნავად თავდაჯერებულ განცხადებასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ საერთაშორისო ექსპერტსა და პოლიტოლოგს ვახტანგ გურგენიძეს.**



— ბატონო ვახტანგ, თეთრი სახლის პრესმდივანი აცხადებს, რომ სააკაშვილს, რომელმაც ამერიკაში მიიღო განათლება, დაბრუნდა თავის ქვეყანაში და ცდილობს დემოკრატიის განვითარებას, სირთულეები ხვდება, მაგრამ ძლიერ სტრესულ სიტუაციებში ძალიან კარგად უჭირავს თავი. თქვენ რას დაამატებდით?

— დავამატებდი, რომ მარტო კარგად კი არა, ძალიან ღირსეულადაც უჭირავს თავი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთ-საქართველოს, ფაქტობრივად, წაგებული ომიდან რეალურად გამარჯვებული გამოვიდა. ამ ფაქტს მსოფლიო ომების ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

— და თქვენ მიგაჩნიათ, რომ მიშას ამერიკაში დაწინაურება რეალურია?

— წინასწარ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ თავად ფაქტი, რომ გლობალური კრიზისის ამ გაწამაწიის პერიოდში ჩვენი პატარა ქვეყნის პრეზიდენტი მსოფლიო მოვლენების ეპიცენტრში მოექცა, თავისთავად უკვე საქმეა.

— ჰო, რა თქმა უნდა, უნდა ვაღიაროთ, მიშას ეპიცენტრი და შადრევნები არც ადრე აკლდა!

— ეგ ნამდვილად ასეა, მაგრამ ამჯერად სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. აბა, გაიხსენეთ, ამ ხუთიოდე წლის წინათ შევარდნაძის ამერიკაში დაწინაურებაზე განა ვინმე იოცნებებდა?

— შევარდნაძეს ამის პრეტენზია არც ჰქონია, ჩემო ბატონო, მას ამერიკული მართვის სკოლა არ გაევლო და, ასე თუ ისე, მაინც რეგიონული მნიშვნელობის პოლიტიკოსად ითვლებოდა.

— მეც მანდა ვარ, სულ სხვა საქმეა სააკაშვილი, რაც მართალია მართალია, მან რაღაც თვეების მანძილზე ევროატლანტიკური უნარ-ჩვევები ბრწყინვალედ აითვისა და ერთბაშად მსოფლიო დემოკრატიის შუქურად მოგვევლინა.

— ვერ უარვყოფთ, შუქურა ნამდვილად არის, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ცოტა იალღიში მოუვიდა და საქართველოში დემოკრატიის ნაცვლად რატომღაც ავტოკრატია ააშენა. ჰოდა ცოტა უხერხული ხომ არ იქნება, ავტოკრატმა ლიდერმა ამერიკაში დემოკრატიაზე ლექციები წაიკითხოს?

— საქმეც ეგ არის, ლექციები აქ კი არა, ჩემო კარგო, იქ, ამერიკაში უნდა წაიკითხოს.

— მაგით რისი თქმა გინდათ?

— მარტივი ამბავია, ამერიკაში დემოკრატია კაი ხნის აშენებული აქვთ. რაც შეეხება თავად მშენებლობის პროცესს, ამ მხრივ მეზღაპრეობასა და ილუზიების თხზვაში, მერწმუნეთ, სააკაშვილს მთელ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება.

— გეთანხმებით, მიშას მეზღაპრეობაში მართლაც ვერავინ შეედრება, მაგრამ გიფიქრიათ, საკუთარ პრეზიდენტზე შეყვარებული ოპოზიცია მის ამერიკაში დასაქმებას როგორი გაგებით შეხვდება?

— ვიცი, ვიცი, ოპოზიცია ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეგუება.

— რატომ?

— ეგეც ვიცი. არ გახსოვთ, რუსეთმა სააკაშვილის ჩამოგდება რომ დაუპირა, ოპოზიცია როგორ განაწყენდა? ახლაც იგივეს გაიმეორებს — ბუშს შეუთვლის, თავი დაგვანებეთ, ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით, პრეზიდენტს არ გადავაყენებთ. შემდეგ უმუშევარი თუ დარჩა, თავადვე დავასაქმებთო.

— საინტერესოა, რუსეთი რა პოზიციას დაიკავებს?

— მაგათი ამბავი ხომ იცი, რას მოიმოქმედებენ, კაკულიაც ვერ იწინასწარმეტყველებს. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, პუტინმა ბუშის ჯიბრზე „ტოტალიტარიზმის ინსტიტუტი“ შექმნას და იქ სამუშაოდ ლუკაშენკოსთან ერთად სააკაშვილი და იუშჩენკო მიიწვიოს.

— მაგრამ თავად მიშა რომელს აირჩევს?

— ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია, მაგის ამბავი რომ ვიცი, საქართველოში სანამ ყველას სათითაოდ არ დაასაქმებს, საკუთარ დასაქმებაზე სიტყვას ვერავინ დააცდევინებს. თანაც ჩნდება შანსი რუსეთის მეორედ დამარცხებისა (ამერიკასთან ფორმდება ხელშეკრულებაძ. წინა ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ქარიზმატული პრეზიდენტი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

**ოტია ჩართოლანი**

ექსკლუზივი

# გია ყანჩელი: ვაჟას „სტუმარ-ჩაწვდომა კაცობრიობის

**— ბატონო გია, რატომ აირჩიეთ საცხოვრებლად ბელგია? რა არის იგი თქვენთვის, როგორც ადამიანისთვის, ეროვნებით ქართველისა და პროფესიონალისთვის?**

— ჯერ კიდევ ბერლინში ცხოვრებისას (1991-1995წ) ანტვერპენის სამეფო სიმფონიურმა ორკესტრმა მიმიწვია composer in resident-ად. ერთი წლის მანძილზე ვმუშაობდი ნაწარმოებზე „სიმი, ანუ სევდიანი ფიქრები ჩელოსა და ორკესტრისთვის", რომელიც მივუძღვენი მ. როსტროპოვიჩს. პრემიერა კი 1996 წელს ბრიუსელში როსტროპოვიჩისა და ანტვერპენის სამეფო სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით გაიმართა. ვინაიდან ანტვერპენი ბევრად უფრო მაგონებდა თბილისს, გადავწყვიტე იქ დარჩენა და უკვე 13 წელია ვცხოვრობ და ვმუშაობ ამ შესანიშნავ ქალაქში.

**— სად უფრო გრძნობთ თავს ევროპელად: საქართველოში თუ საზღვარგარეთ?**

— სურვილი, ვიცხოვრო ღირსების შეულახავად გეოგრაფიულ საზღვრებს არ ითვალისწინებს, თუმცა ხშირად ანალოგიურ შეკითხვას ხუმრობით ვპასუხობ შემდეგნაირად: 56 წელი ვიცხოვრე იქ, სადაც ადამიანები მანქანებს უთმობენ გზას, ხოლო 17 წელია ვცხოვრობ იქ, სადაც მანქანები გზას ადამიანებს უთმობენ.

**— თქვენი აზრით, ვართ კი ქართველები ევროპელები? რუსები?**

— საქართველოს სწრაფვა ევროპაში არსებული დემოკრატიული ფასეულობებისკენ იმდენად ერთმნიშვნელოვანია, რომ, სამწუხაროდ, ზოგჯერ რეალობის გაუთვალისწინებლად მიმდინარეობს, რაც ყოფილი მეტროპოლიის დაუფარავ რისხვას იწვევს.

რაც შეეხება რუსეთს, მისი სურვილი ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობისა, რჩება მხოლოდ დეკლარირების დონეზე. საქმით კი, თანამედროვე რუსეთი სულ უფრო და უფრო შორდება ცივილიზებული ყოფის ელემენტარულ ნორმებს.

**— მუსიკა, როგორც ევროიდენტიფიკაციის შემადგენელი. შესაძლებელია ამდაგვარი რამ?**

— არა მგონია, რომ ისეთი აბსტრაქტული მოვლენა, როგორიცაა მუსიკა, ევროიდენტიფიკაციის ცნებას ემორჩილებოდეს. მაგალითად, თანამედროვე იაპონურ, ჩინურ და, საერთოდ, ორიენტალურ მუსიკაში მრავლად შეხვდებით ტრადიციული ევროპული მუსიკის ელემენტებს და პირიქით. ვფიქრობ, მუსიკა უფრო კოსმიურ სივრცეს მიეკუთვნება და, რაც უფრო უსასრულოა ეს სივრცე, მით უფრო მნიშვნელოვანია ამა თუ იმ მუსიკალური ქმნილებისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა. თუმცა ეს ცალკე საუბრის საგანია.

**— კავკასია „რთული პარტიტურაა". რა ვერ გაიგეს და რას ვერ იგებენ კრემლი და ბრიუსელი (ვგულისხმობ დასავლეთს)? არ ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიკურ შემადგენელს.**

— რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები არსებობენ პერმანენტული დაუმორჩილებლობის რეჟიმში. რაც შეეხება ამიერკავკასიას, როგორც თქვენ ბრძანეთ, იგი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, რთულ, მშფოთავ და დაუმთავრებელ „პარტიტურას" მაგონებს. ვიმედოვნებ, რომ მასში ძირითადად მცხოვრები ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები მომავალში მიაღწევენ ისეთ ურთიერთგაგებას, რომელიც ანგარიშგასაწევი გახდება იმპერიული ამბიციების მქონე ქვეყნებისთვის, მაგალითად, თანამედროვე რუსეთისთვის.

**— ავთო ვარსიმაშვილი თავისებურ „კავკასიური ცარცის წრეს" დგამს. როგორი იქნებოდა მეორე „კავკასიური წრის" მუსიკა და განწყობა, კომპოზიტორობა თქვენთვის რომ შემოეთავაზებინათ?**

— ნაკლებად მაინტერესებს, ვინ და როგორ ახორციელებს თავის ამბიციებს სხვა თეატრებში. ჩემი თეატრი რუსთაველის სახელობის თეატრია და რეჟისორი, რომელთანაც ვაგრძელებ ურთიერთობას, — რობერტ სტურუა.

**— ბატონო გია, როგორ აფასებთ რუსი ინტელიგენციის „პრო და კონტრა" დამოკიდებულებებს საქართველოში განხორციელებულ ბლიც-კრიგთან დაკავშირებით? თქვენთვის მოულოდნელი იყო ამგვარი რეაქცია?**

— ჩემი ასაკის ადამიანებს კარგად ახსოვთ საბჭოთა კავშირის დროინდელი საინფორმაციო ვაკუუმი. ბატონმა ვ. პუტინმა საკმაოდ მოკლე ხანში აღადგინა სიცრუის და სიყალბის მძლავრი მექანიზმები, რომელთა გავლენის ქვეშ მოექცა არა მარტო რუსეთში მცხოვრები მასა, არამედ ცივილიზებული სამყაროს ზოგიერთი წარმომადგენელიც, საბედნიეროდ, როგორც საბჭოთა სინამდვილეში, ასევე დღეს, თანამედროვე რუსეთში არსებობენ ალტერნატიული აზრის მქონე პოლიტოლოგები და ჟურნალისტები, რომლებიც დარჩენილი ორად-ორი საინფორმაციო წყაროს მეშვეობით ახერხებენ, სიცრუის ნიაღვარს წინ აღუდგნენ. ეს წყაროებია რადიოსადგური „эхо москвы" და გაზეთი „Новая Газета". მე პატივს ვცემ ამ პიროვნებებს.



**— როგორ შეხვდნენ საქართველოს ოკუპაციის ცნობას ჩვეულებრივი ბელგიელები, პრესა და ხელოვანი ადამიანები?**

— ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივი ბელგიელები, ბელგიური პრესაც და ხელოვნების წარმომადგენლები ცნობას საქართველოს ოკუპაციის შესახებ შეხვდნენ ადეკვატურად იმ რეაქციისა, რომელიც გამოხატა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ გამონაკლის შემთხვევებსაც.

**— თქვენ ოდესღაც გერგიევს მუსიკა მიუძღვენით. ახლა რას გრძნობთ ამ მუსიკისა და პირადად მის მიმართ?**

— 2000 წელს როტერდამის ფილარმონიის ორკესტრმა მომმართა თხოვნით, დამეწერა ნაწარმოები, რომელიც ვ. გერგიევის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ კონცერტში უნდა შესრულებულიყო. მაშინ მას 50 წელი უსრულდებოდა და, ვინაიდან გერგიევთან დიდი ხნის მეგობრული და შემოქმე-

განათლება

# სტუდენტები... ბიუჯეტის შევსებისთვის ბრძოლაში?!

## სწავლის საფასური 2250 ლარი გახდება

**ტელევიზიით გახმიანდა, რომ 2009-2010 სასწავლო წლიდან სწავლის საფასური — 1500 ლარი კიდევ უფრო გაიზრდება. პარლამენტის კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მისაღებში იუარეს, მსგავსი რამ ჭორადაც არ გაგვიგია, არც არანაირი კანონპროექტი არ მზადდებაო.**

ამის შემდეგ დავუკავშირდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურს. ქალბატონი მარიკა გერსამიას განმარტებით, ჯერჯერობით ასეთი ცვლილება სამინისტროს ბიუჯეტში არ ასახულა: „მაგრამ თუ 2009 წლიდან სწავლის საფასური გაიზრდება, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასახადი იქნება მაქსიმუმ 2250 ლარი. ხოლო კერძო უმაღლესი სასწავლებლები ფასს თავად განსაზღვრავენ.



შესაბამისად, სამინისტრო ყველაფერს ილონებს, რათა ეს თანხა დაიფაროს და სახელმწიფო გრანტის მოცულობა 1500 ლარიდან 2250 ლარამდე გაზარდოს".

სწავლის საფასურის გაზრდის თაობაზე ოფიციალური გადაწყვეტილება არც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიუღია. უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა რუსუდან ჩიქოვანმა აგვიხსნა, რომ ამის თაობაზე განათლების სამინისტროში მხოლოდ ითქვა და მეტი არაფერი, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ საფასური 2250 ლარი გახდება.

ვნახოთ, რას ფიქრობენ თავად სტუდენტები და მშობლები.

**გიორგი ძარდავა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:**

— მე 50-პროცენტიანი გრანტით ჩავირიცხე, ანუ 1500 ლარის ნახევარს ვიხდი. საფასურის გაზრდა არ მომწონს. ხალხს უჭირს, სტუდენტების უმრავლესობა რაიონებიდან არის ჩამოსული, სადაც ოჯახს ამდენი თანხის მოგროვება გაუჭირდება. ამას ემატება ბინის ქირა, საკმაოდ ძვირად ღირებული სახელმძღვანელოები.

**ანა წიწილაშვილი, სოხუმის უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი:**

— გადასახადების ზრდა არ მომწონს. არა მგონია, ეს ტენდენცია ვინმემ დადებითად შეაფასოს. დღეს საქართველოში იმდენად მძიმე ეკონომიკური ვითარებაა, რომ გაზრდილი გადასახადის გამო, შესაძლოა, მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ უარი თქვას სწავლის გაგრძელებაზე. ეს კი მომავალში აუცილებლად უარყოფით შედეგს გამოიღებს.

ჩემი აზრით, ასევე, უმჯობესი იქნებოდა არა ერთი კონკრეტული საგნის მიხედვით ხდებოდეს დაფინანსება, ოთხივე საგნის ჯამური ქულის გათვალისწინებით.

**მარიამ წიკლაური, მშობელი:**

— ორი სტუდენტის დედა ვარ. ერთი 30-პროცენტიანი გრანტით ჩაირიცხა, მეორე — უგრანტოდ და მათ სწავლას, ძირითადად, მშობლები ვაფინანსებთ. ჩვენს გარშემო, ზოგიერთ ოჯახში სამი სტუდენტიც კი არის. წარმოიდგინეთ, სამ სტუდენტზე 1500 ლარის გადახდა და თუ კიდევ გაიზრდება — როგორ გასწვდება ამ თანხას ოჯახი.

საომარ მდგომარეობაში და არასტაბილურ სოციალურ პირობებში სესხის აღებაც პრობლემაა. ჯერ ერთი რომ უვადო სესხს ბანკი იოლად არ გასცემს, თანაც, გამოდის, რომ საკუთარ შვილს ვალი უნდა დაახვედრო.

**თემურ ნანეიშვილი, პროფესორი, ფიზიოლოგი:**

— საფასურის გაზრდა ბიუჯეტს უკავშირდება. „ქართული აკადემია" ყოველთვის უფასო სწავლების მომხრე იყო ყველა საფეხურზე. კეთილი ინებოს სახელმწიფომ და ეს პრობლემა ევროპისა და მთელი მსოფლიოს მსგავსად გადაწყვიტოს. განათლებაზე საერთო შემოსავლის 3 პროცენტი უნდა იხარჯებოდეს. ამ ეტაპზე ჩვენ 3 პროცენტს ნამდვილად არ ვითხოვთ, მაგრამ ჯარისთვის განკუთვნილ მილიარდნახევარს ჩამოაკლონ გარკვეული თანხა და მეცნიერებასა და განათლებას მისცენ.

იაპონელებმა ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიის შემდეგ ქვეყნის აღდგენა იმით დაიწყეს, რომ მეცნიერებასა და განათლებაში ჩადეს ბიუჯეტის, თუ არ ვცდები, 53 პროცენტი.

არ ვიცი, რა ვუწოდო, როცა გაჭირვებულ მოქალაქეს გადასახადს უზრდიან. ასე არ ხდება არც ამერიკის შეერთებულ შტატებში, არც სხვა ქვეყნებში. იქ გარკვეულ თანხას სიმბოლურად ახდევინებენ.

ბოლონიაში სახელმწიფო 95 პროცენტით აფინანსებს განათლებას, 5 პროცენტი კი სიმბოლურად შეაქვს სტუდენტს. ჩვენთან საიდან შემოიღეს ეს ფასიანი სწავლება? ჩვენსა და სხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური დონე ხომ უნდა განვასხვავოთ? ამერიკელისა და ევროპელისთვის 200 ევროს გადახდა არაფერი არ არის, რადგან იქ ყველა ოჯახს აქვს შემოსავალი. ჩვენთან კი 2250 ლარი ოჯახისთვის დიდი ფულია. ეს ციფრი, ვინც ამ რეფორმას ატარებს მხოლოდ მათთვის არ ნიშნავს არაფერს, ჭავჭავაძის პედაგოგიურ უნივერსიტეტში პროფესორის ხელფასი 1400 ლარიდან იწყება, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში კი მათი ხელფასი 200 ლარია.

**ასეთ ვითარებაში, სახელმწიფო არ აშენდება. ეს იქნება მოსამსახურე სახელმწიფო და მეტი არაფერი. მიხეილ სააკაშვილი ამ პრობლემაზე ხმას არ იღებს, პირიქით — ხელს უწყობს ტრადიციული სამეცნიერო კერების გაქრობას და ქობულეთში სიამოვნებით ხსნის ბარმენების სკოლას. ბარმენებიც საჭიროა, მაგრამ ასეთ ვითარებაში, ამის გაკეთება არ შეიძლება".**

**ნატა ნიბლაძე**

ექსკლუზივი

# „მასპინძლის“ არსში მცირე ნაწილის ხვედრია

დებითი ურთიერთობა მაკავშირებდა, ეს წინადადება სიამოვნებით მივიღე და ამ ნაწარმოების პირველ შესრულებაზე კიდევაც გახლდით როტერდამში.

ჩემი დამოკიდებულება ბერგიევის მიმართ ცხინვალში გამართულ კონცერტთან დაკავშირებით გამოვთქვი რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში (www.svobodanews.ru 2008 წლის 9 სექტემბერიძ, სადაც აღვნიშნე, რომ მას ეს კონცერტი უნდა მიეძღვნა მომხდარ ტრაგედიასა და ომის შედეგად ორივე მხარეს დაღუპული ადამიანებისთვის. მისი მასშტაბის მუსიკოსს, მიუხედავად წარმოშობისა, მიკერძოება არ უნდა ახასიათებდეს.

**— როგორ ფიქრობთ, აღგვიქვამდა თუ არა რუსეთის ინტელიგენცია (აქ არ ვგულისხმობ პასტერნაკსა და სხვებს) სერიოზულად? თუ ჩვენ მათთვის დავრჩით „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“, რომელსაც უყვარს მწვადი და „ლარისა ივანოვნა“?ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ჩვენც ხომ არ შევუწყვეთ ხელი უსაზღვრო სტუმართმოყვარეობით? რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ არსის გაგება და ჩაწვდომა ბევრს არ შეუძლია. იყო თუ არა რუსეთ-საქართველოს კულტურული კავშირები ისეთი, როგორსაც ჩვენ ვხატავთ, ანუ რომანტიკული? იყო თუ არა მყარი და უწყვეტი? რა შეცდომები იყო დაშვებული და რისი გაკეთება შეეძლო კულტურულ ხიდებს? რისი — ვერა?**

— ამ კითხვაზე შევეცდები შემდეგნაირად გიპასუხოთ: ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ არსში ჩაწვდომა კაცობრიობის იმ მცირე ნაწილის ხვედრია, რომელსაც ბეთჰოვენის პირველ და უკანასკნელ კვარტეტებს შორის განსხვავების შეგრძნება ძალუძს. სხვათა შორის, ისევე, როგორც გურული სიმღერის პოლიფონიის ჭეშმარიტი შეგრძნება უმრავლესობას არ შეუძლია. რაც შეეხება ხალხთა შორის სხვადასხვა სახის კავშირებს, ურთიერთობებს, ადათ-ჩვევებისა და ტრადიციების განსხვავებულ აღქმას და სხვა მრავალ გამოვლინებებს — ყველაფერი ეს დამოკიდებულია ადამიანის აღზრდაზე, ბუნებით მინიჭებულ ტოლერანტობასა და პირად ღირსებაზე. ერთადერთი, რაც მაფიქრებს, გახლავთ ის, რომ ღირსეულთა რაოდენობა დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, უმცირესობაშია.

**— როსტროპოვიჩმა ერთხელ ავტომატიც კი აიღო ხელში. მაგრამ არ გაუსროლია, რასაკვირველია. როგორ ფიქრობთ, დგება ხელოვანის ცხოვრებაში ამდაგვარი მომენტი და არის თუ არა ეს „ჭეშმარიტების მომენტი“? აი, შევჩუკი „დედეტედან“ რამდენიმე ხნის წინათ გამართულ კონცერტზე გვახსენებდა: „ნე სტრელიაი!“**

— მსტისლავ როსტროპოვიჩთან განსაკუთრებული სიახლოვე მაკავშირებდა. დარწმუნებული ვარ, რომ მომხდარი მოვლენების მიმართ ის გულგრილი არ დარჩებოდა. ვფიქრობ, რომ გონებაგახსნილი სლავა იმაზე მაინც დაფიქრდებოდა, რამდენად წარმოუდგენელია ხალხის ან სახელმწიფოს ორად გაყოფა ისეთი გეოგრაფიული წარმონაქმნით, როგორიცაა კავკასიონის უღელტეხილი. მას რომ სცოდნოდა, როგორი თბილი ურთიერთობაა დღესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისტორიულად მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს შორის, რამდენი შერეული ოჯახია შექმნილი ქართველებისა და ოსების მიერ, რამდენი ისტორიული ძეგლი და ეკლესიაა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, აუცილებლად მიხვდებოდა, რისთვის დასჭირდათ ბოლშევიკებს ჩვენს მიწაზე სამი ავტონომიური წარმონაქმნის შექმნა და რატომ გაჩნდა დასახელება „სამხრეთ ოსეთი“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეჭვი არ მეპარება, რომ როსტროპოვიჩს აუცილებლად გაუჩნდებოდა ვირტუალური სურვილი, აღმოჩენილიყო კავკასიის მწვერვალზე და ბერლინის კედელთან ჩატარებული აქციის ანალოგიური წარმოდგენა მოეწყო. თუმცა, ვფიქრობ, რომ რუსეთის ხელისუფლება მისი ღვთაებრივი ჰანგების მიმართ კვლავ გულგრილი დარჩებოდა.

**— რომელ რუს კოლეგებთან ერთად ისურვებდით ერთობლივი პროექტების განხორციელებას?**

— ჩემი მუსიკა რუსეთში დღესაც სრულდება და, იმედი მაქვს, რომ მომავალშიც შესრულდება. განსხვავება ის არის, რომ თუ ადრე სიამოვნებით ვიღებდი მიწვევებს სხვადასხვა ფესტივალებზე ან ფილარმონიულ კონცერტებზე, სადაც რუსი მსმენელის დამოკიდებულება ჩემი მუსიკისადმი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სითბოთი, ამას წინათ მომხდარმა ამდაგვარი სურვილი დამიკარგა. ამავე დროს, შესანიშნავად მესმის, რომ ხელისუფალთა ზრახვებზე მუსიკალური აუდიტორია პასუხისმგებელი არ არის. ამიტომ, ჯერჯერობით, ერთობლივი პროექტების განხორციელება ჩემთვის ახლობელ პიროვნებებთანაც კი, შეუძლებლად მიმაჩნია.

**— რა გიხარიათ და რა გწყინთ ყველაზე მეტად?**

— თბილისში არც თუ ისე ხშირად ჩამოვდივარ და მახარებს ის ცვლილებები, რომლებიც, მრავალი გადაუჭრელი პრობლემის მიუხედავად, თვალში საცემია.

საწყენის ჩამოთვლა კი შორს წამიყვანს. ამიტომ შემოვიფარგლები ერთი დაკვირვებით. ადრე, ქართველების საყვარელი სიმღერის სიტყვებს — „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ — ნაკლებად ვაქცევდი ყურადღებას. ჩვენმა უახლესმა ისტორიამ დამარწმუნა, რომ, სამწუხაროდ, ეს სიტყვები უმრავლესობის შეგნებაშია გამჯდარი. შესაძლოა, ამიტომ გადაიქცევიან დროდადრო ხალხის გამაერთიანებელ ძალად პირადად ჩემთვის მიუღებელი ლოზუნგები: „საქართველო — ქართველებისთვის“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. სხვათა შორის, მმართველი პარტიის სახელწოდება „ნაციონალური მოძრაობა“ ამავე რიგის კონიუნქტურას მიეკუთვნება. იქნებ, სწორედ ამის შედეგად მიიღო პასიური ტენდენციის სახე ილიას სიტყვებმა — „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ვიმედოვნებ, დაგვიდგება დრო, როდესაც გავითავისებთ, რომ არავის ჩამოვუვარდებით და არც არავის ვჯობივართ. ასევე ვიმედოვნებ, რომ დადგება დრო, როცა ერთი პიროვნების გაფეტიშება დავიწყებას მიეცემა. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი შეიცვალოს აწმყო და, შესაბამისად, მომავალიც.

**— რა იცით ბელგიაში ქართველების ცხოვრების შესახებ?**

— ბელგიაში კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევი და ჩემი კონტაქტები მხოლოდ რამდენიმე პიროვნებასთან ურთიერთობით შემოიფარგლება.

**— მოგვითხრეთ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ.**

— როგორც წესი, საუბარს მომავალ, ჯერ კიდევ განუხორციელებელ გეგმებზე ვერიდები.



**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ-ში.**
**ნიუ-იორკი-ანტვერპენი**

ნოსტალგია

# გურამ ოდიშარია: „სულ სხვა იყო სოხუმში მორთული ნაძვის ხე უკიდეგანო ზღვის ფონზე

**(მეშვიდე გვერდიდან)**

ჩასული რომ ვიყავი, ვიკითხე და მითხრეს, ახლა ვინღა გააკეთებსო. პოპულარული იყო ღვინო „ადესა“, სხვა ყველაფერი ერთნაირი გვაქვს, სხვანაირად არც შეიძლებოდა, წარმოუდგენელია, რადგან საუკუნეები ვცხოვრობდით ერთად.

**— ახლა თუ მიულოცეთ ან მოგილოცეს იქიდან ახალი წელი?**

— როგორ არა, ტელეფონით, ინტერნეტით, 20 დეკემბრიდან დავიწყე მილოცვა და პასუხიც მივიღე, შენ ვერავინ დაგასწრებს მილოცვასო.

საოცარი სიურპრიზი მოხდა ჩემთვის 2008 წელს და მოგიყვებით. ოქტომბერში სოხუმიდან დამირეკეს მეგობრებმა: ორი მწერალია, ერთი „ქუჩის ბიჭი“ და მკითხეს მამაშენის საფლავს ვეძებთო.

ეტყობა მათ ნახეს ჩემი ავტორობით დადგმული თემურ ჩხეიძის სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“. იქ არის ასეთი სცენა: ქართველი და აფხაზი ბავშვობის მეგობრები მწარედ კამათობენ, უცებ ქართველი ეუბნება, რომ ჩემი მშობლების საფლავზე ვიყავი ასული და მოვლილი დამხვდაო. აფხაზი უპასუხებს: ჩემებიც იქ არიან დამარხულიო, ანუ ის პირდაპირ არ ეუბნება, თუმცა ამით მიახვედრებს, რომ მე ვუვლიო.

**— ამ სპექტაკლმა გამოიწვია აფხაზების სტიმული?**

— ალბათ, სპექტაკლი კასეტაზე ჩავწერეთ და ის აფხაზეთშიც გაავრცელეს. ალბათ, ნახეს. დამირეკეს და მეუბნებიან საფლავზე ვართ და სად, რა ადგილას არის დამარხულიო. მივასწავლე. დამირეკეს ერთი საათის მერე და ნასიამოვნებებმა მითხრეს, რომ მივაგენით, ქვა აქ არისო. გაწმინდეს, გაასუფთავეს და სურათები ინტერნეტით გამომიგზავნეს.



**— როგორი ნოსტალგია გაქვთ გასული კარგი წლების?**

— როგორ არა.

**— მეც მახსოვს ქართულ-აფხაზური მეგობრების დღესასწაული რუხში, რა ზარ-ზეიმითა და პომპეზურად ტარდებოდა ხოლმე.**

— ჰო, იყო მეგობრობის დღესასწაული, თუმცა ნამდვილი დღესასწაული მაინც იქ იყო, ადგილზე, ცხოვრებაში. ჩვენ გვქონდა დაუგეგმავი დღესასწაულები, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მაკლია.

იქ რომ ვიყავი ჩასული ახალ, 2004 წელს, მოვიდა უცხო კაცი. მას ოჯახის წევრები დაღუპული ჰყავდა. მთხოვეს გვითამადეო, მეც ტრადიციისამებრ დავიწყე სადღეგრძელო, რუსულად საუბარი. ამ კაცმა ტირილი დაიწყო: რამდენი ხანია არ ისმის ქალაქში სოხუმელი ქართველის რუსული აქცენტიო.

ასეთ ურთიერთობებზე არ ლაპარაკობენ ტელევიზიაში, პრესაში. ისმის მხოლოდ პოლიტიკოსების გვარები, არადა, ამასობაში ადამიანები დაგვეკარგა. აი, ამბობენ, რომ კვადრატ-კვადრატ დავიბრუნებთ საქართველოს ტერიტორიებსო, ეს არის შეცდომა. ჩვენ ადამიან-ადამიან უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი თუ ოსეთი. პოლიტიკა უნდა გაადამიანურდეს.

იმედი მაქვს, რომ 2009 წელი სიბრძნის წელი იქნება, ურთიერთობის სულ სხვა კუთხეს გამოვნახავთ. აი 2-ისა და 9-ის ჯამი გამოდის 11. ეს ციფრი არის გუნდურობის სიმბოლო, ფეხბურთს 11 კაცი თამაშობს და ეს წელიც 11-ის ნიშნით წარიმართება.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

ინფორმაცია

## ევროკავშირის წევრები აფხაზეთიდან არ უნდა გაიდნენ

**დიდი ბრიტანეთი ჟენევის პროცესის გაგრძელებით, აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკაში გაეროს მისიისა და ევროკავშირის დამკვირვებლების ყოფნით დაინტერესებული. როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, ამის შესახებ საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩმა დენის კიფმა სოხუმის მარიონეტული რეჟიმის პირველ პირებთან შეხვედრაზე განაცხადა.**

**— გაერო, ევროკავშირი რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში მთავარ როლს ასრულებენ. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიება აუცილებელია. აფხაზეთის ხელმძღვანელობა არ არის დაინტერესებული, აქ ევროკავშირის წარმომადგენლები იყვნენ, ჩვენ კი პირიქით, ეს გვსურს. დიდი ბრიტანეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და აქ არსებულ ვითარებაზე პასუხს ვაგებთ, — განაცხადა კიფმა სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერ სერგეი ბაღაფშთან შეხვედრის შემდეგ.**

## ახალი სამინისტრო მილიონობით ლარით დაფინანსდება

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ახალი სამინისტრო მომავალ წელს 116 მილიონი ლარით დაფინანსდება.**

**ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას განაცხადა.**

**ახალი სამინისტრო პირველი იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა პირველი თებერვლისთვის გადაიდო.**

**ამ სამინისტროს ცალკე უწყებად ჩამოყალიბება საკონსტიტუციო ცვლილებამ განაპირობა, რომლითაც გენერალური პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო გაერთიანდა.**

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოდან განდევნილი

**„პასტა სუნტ სერვენდა“ – ეს მაღალფარდოვანი დიპლომატიური ტერმინია, რომელიც გულისხმობს მექანიზმს, რაც საშუალებას აძლევს მსოფლიოს გადააძციოს კონფლიქტი ყველასი ყველას წინააღმდეგ.** ლათინურიდან მისი თარგმანი ასე ჟღერს: „ხელშეკრულებანი დაცული უნდა იქნეს“. იდეა იმის შესახებ, რომ ორი და მეტი მხრიდან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მათ უნდა შეასრულონ პირობები, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მსოფლიოსთვის თუ გვსურს შემცირდეს ომების რაოდენობა და უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო სამართლის ნორმები.

აგვისტოში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან. შეთანხმება ექვსი პუნქტისგან შედგებოდა და ითვალისწინებდა რუსეთის სატანკო დივიზიების საქართველოში შეჭრისა და მისი ტერიტორიის დაბომბვების შეწყვეტას. სარკოზი ევროკავშირის თავმჯდომარე იყო და წარმოგვიდგა როგორც საგანგებო და სრულუფლებიანი მშვიდობისმყოფელი.

მისმა ენერგიამ, აზარტმა და მზადყოფნამ ერთდროულად ჩასულიყო მოსკოვსა და თბილისში, გვიჩვენა, რომ ევროკავშირი არ იქნება გულგრილი უყუროს იმას, თუ როგორ მიგრიალებენ რუსეთის ტანკები იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც შედის გაეროსა და ევროპის საბჭოს შემადგენლობაში, რითაც ერთგვარად იმეორებდნენ 40 წლის წინანდელი პრაღის მოვლენების სცენარს. ანგელა მერკელმაც მოინახულა თბილისი, ხოლო დევიდ მილიბენდი ჩავიდა კიევში, რათა აშკარად ეცნობებინა მოსკოვისთვის, რომ ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დაშინება არ დარჩებოდა უკვალოდ. დღეს რუსეთი შეიცვალა, ვინაიდან ნავთობზე მსოფლიო ფასების დაცემა მიგვიყვანს იქამდე, რომ იგი შთანთქავს ყველა მოგებას მისი რეალიზაციიდან. კრემლს კი 2009 წელს ემუქრება ეკონომიკის ნულოვანი ზრდა. ვლადიმერ პუტინს შეეძლო ემართა რუსეთი იმის წყალობით, რომ იგი ყველას აძლევდა ნებას – ოლიგარქებიდან საშუალო კლასის წარმომადგენლებამდე, გენერლებიდან პატრიარქებამდე, მიეღოთ თავისი წილი ნავთობის სიმდიდრეებიდან, რასაც რუსეთი აგროვებდა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში.

მაგრამ საყოველთაო ბედნიერების ეპოქა ამჟამად დასასრულს უახლოვდება და რუსეთი კვლავ რჩება ღარიბ ქვეყნად. ღარიბად ფულით, მაგრამ მდიდრად ბირთვული იარაღით, აგრეთვე თავისი განუსაზღვრელი შესაძლებლობით შეუქმნას პრობლემები ევროატლანტიკურ დემოკრატიებს ირანის, ბალკანეთის და ავღანეთში ჯარების მომარაგების მარშრუტების გამო იმ პირობებში, როდესაც გზა პაკისტანის გავლით სახიფათო ხდება.

ამჟამად კრემლმა ახალი გამოწვევა გაუგზავნა სარკოზის, ევროკავშირს და ეუთოს. ეს მოხდა იმ მომენტში, როდესაც ვაშინგტონი უპირატესობას ანიჭებს არა ომებს, არამედ მოლაპარაკებებს. ექვსპუნქტიან შეთანხმებაში, რომელსაც ხელს აწერს მედვედევი სარკოზისთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ეუთოს მეთვალყურეთა საერთაშორისო ჯგუფი გააგრძელებს თავისი მანდატის შესრულებას“, როგორც ეს იყო კონფლიქტის დაწყებამდე.

ეუთოს მისია სადავო ტერიტორიებზე იმყოფებოდა 1991 წლიდან. მისი ამოცანა იყო თვალყურის დევნება და მოხსენებების მომზადება ყოველივე იმის შესახებ, რაც იქ ხდებოდა. მაგრამ ამჟამად კრემლმა გასცა განკარგულება, რომ ამ მისიამ დატოვოს რეგიონი, რაც მედვედევ-სარკოზის ხელშეკრულების აშკარა დარღვევაა. ამ მისიაში ყოველთვის იყო სულ ცოტა 200 კაცი. მას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ქართველთა ეთნიკური წმენდა, რასაც რუსეთი ახორციელებდა. მას არ შეეძლო აგრეთვე თავიდან აეცილებინა საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის თავდასხმა. მაგრამ ის ზიზღი და ცინიზმი, რითაც კრემლმა გააგდო ეუთოს მისია, გვიჩვენებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება არაფრად არა ღირს. „პასტა ნონ სუნტ სერვანდა“ ანუ ხელშეკრულების შესრულების არასავალდებულოების პრინციპი – ეს პუტინის ახალი წვლილია XXI საუკუნის დიპლომატიურ ლექსიკონში.

რამდენად მნიშვნელოვანია ეს? ეუთო შეიქმნა 70-იან წლებში ვილი ბრანდტის აღმოსავლური პოლიტიკის ჩარჩოებში. ჰენრი კისინჯერიც ასევე მხარს უჭერდა განიარაღების პოლიტიკას. და სრულწონიანი ბეჭედი დაუსვეს მას თავისი ტუჩებში მხურვალე კოცნით ლეონიდ ბრეჟნევმა და ჯიმი კარტერმა.

მას შემდეგ ეუთო მიჰყვება თავის გზას და ასრულებს ძალიან დიდმნიშვნელოვან სამუშაოს. იგი თვალყურს ადევნებს არჩევნების ჩატარებას, ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას, აგრეთვე ქმნის აუცილებელ ბაზას სამართალდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისთვის. იგი საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებულ



შტატებსა და კანადას აწარმოონ ერთობლივი მუშაობა რუსეთთან შავი ზღვისა და კავკასიის ქვეყნებთან ერთიანი ორგანიზაციის ჩარჩოებში, ყოველთვის ისწრაფვის, თავიდან აიცილოს კონფრონტაცია და ეძებს კომპრომისულ გადაწყვეტილებებს.

ეს სამწუხაროა, მაგრამ რუსეთმა, როგორც ეტყობა, გადაწყვიტა, რომ ეუთოს ვარგისიანობის ვადა გავიდა და მას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭება იმისთვის, თუ რა სწამს და რას იცავს კრემლი. გამუდმებით ჩნდება იმის ახალი მაგალითები, თუ როგორ ამბობს უარს რუსეთი მიიღოს ეუთოს მისია და დაამტკიცოს მისი წინადადებანი. ბევრისთვის გასაგები გახდა, რომ პუტინის კრემლს ეუთო მიაჩნია შემაწუხებელ რელიქტად, რომელიც გაყინულია დემოკრატიაზე, თავისუფალ არჩევნებზე, სიტყვის თავისუფლებაზე და „მხურვალე“ და „გაყინული“ კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაზე.

რუსეთის გადაწყვეტილება – დაარღვიოს თავისი ოფიციალურად მიცემული პირობა ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ საქართველოში – შეიძლება განვიხილოთ პუტინის ახალი დიპლომატიის თვალსაზრისით. ეუთოს და მის წევრებს ატლანტიკის ორივე მხარეს ცოტა რამ თუ შეუძლიათ გააკეთონ ამ სიტუაციაში. საინტერესო იქნებოდა შეგვეხედა, გამოვა თუ არა პროტესტით პრეზიდენტი სარკოზი. ეს იყო მისი შეთანხმება და ამჟამად ეს შეთანხმება ნამუსახდილია. გამოვა თუ არა პარიზი პროტესტით, თუ პუტინი შეძლებს მოაწყოს მორიგი ტრიუკი თავისი პირობებით – გათიშოს ევროპის ქვეყნები და გამოყოს ერთმანეთისგან ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა?

დენის მაკშეინი

Guardian

# ეუთოს მისია საქართველოდან გამოაძევეს

**კრემლის მიერ ეუთოს მისიის გამოძევება საქართველოს ტერიტორიიდან ნიშნავს: კაპიკია ხელშეკრულების ფასი, რომელსაც ხელი მოაწერა რუსეთის პრეზიდენტმა.**

სტატიის ავტორი შეგვახსენებს, რომ დიპლომატიური პრინციპი „პასტა სუნტ სერვანდა“ – „ხელშეკრულებები დაცული უნდა იქნეს“ – მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო ომების თავიდან ასაცილებლად. ამ დროს დღევანდელი რუსეთი კვლავ იძულებულია შეურიგდეს ღარიბი ქვეყნის სტატუსს, ამტკიცებს სტატიის ავტორი მაკშეინი. „რუსეთი ღარიბია, მაგრამ მდიდარია ბირთვული შეიარაღებით და იმით, რომ აქვს განუსაზღვრელი პოტენცია, რათა შეუქმნას პრობლემები ევროატლანტიკურ დემოკრატიას ირანისა და ბალკანეთის გამო, აგრეთვე საფრთხე შეუქმნას კონტინგენტის მომარაგებას ავღანეთში“.

და აი, ახლა კრემლი აშკარად, ზიზღითა და ცინიზმით არღვევს მედვედევ-სარკოზის შეთანხმების პირობებს, როდესაც აძევებს ეუთოს მეთვალყურეებს საქართველოს ტერიტორიიდან. „პასტა ნონ სუნტ სერვანდა“ – აი, პუტინის ახალი წვლილი XXI საუკუნის დიპლომატიის ლექსიკონში.

მაკშეინის შეხედულებით ეუთო აწარმოებს შეუმჩნეველ, მაგრამ მნიშვნელოვან სამუშაოს არჩევნების მონიტორინგისა და დემოკრატიის განვითარების წახალისებისთვის, აგრეთვე სთავაზობს სასარგებლო პლატფორმას სამართალდამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მაგრამ ბევრისთვის ცხადია, რომ პუტინის კრემლს მიაჩნია ეს ორგანიზაცია მოსაწყენ ანაქრონიზმად, ვინაიდან იგი სათავეში აყენებს დემოკრატიასა და არჩევნების თავისუფლებასო.



საინტერესოა, გამოთქვამს თუ არა პრეზიდენტი სარკოზი პროტესტს, თუ პუტინი კვლავ შეძლებს ბზარი შეიტანოს ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის? – სვამს შეკითხვას მიმომხილველი სტატიის დასკვნით ნაწილში.

Guardian

# საქართველო სამხრეთ ოსეთზე მარშით მიდის

**როდესაც ომი დაიწყო, მე თბილისში ვიყავი, ვამზადებდი გაზეთის მორიგ ნომერს („დი მესენჯერ“ – ქართული გაზეთი ინგლისურ ენაზე). ამ მომენტში ტელევიზიით გამოვიდა ქართველი გენერალი, რომელმაც განაცხადა, რომ მიჰყავს ჯარები სამხრეთ ოსეთის დასაპყრობად.** მე ამას საკმაოდ სკეპტიკურად შევხედე. არ მჯეროდა, რომ სამხრეთ ოსეთი შეიძლება დავიბრუნოთ საქართველოს შემადგენლობაში ძალით, სამხედრო საშუალებების გამოყენებით. ცხადი იყო, რომ რუსეთი უარს არ იტყოდა სამხრეთ ოსეთზე უბრძოლველად. ჩვენ გვქონდა 10 თუ 11 თვითმფრინავი, რუსეთს კი – რამდენიმე ათასი. რუსეთი გამუდმებით აძლიერებდა ზემოქმედებას და აწარმოებდა ასეთი სიტუაციის პროვოცირებას. საქართველო კი მოხვდა ამ ხაფანგში. მე წინასწარ ვგრძნობდი, რომ რუსეთი გაგზავნიდა თავის ჯარებს. სამწუხაროდ, მე მართალი აღმოვჩნდი. 8 აგვისტოს ჩემი სამი ჟურნალისტი გაემგზავრა ცხინვალში. ისინი ქალაქის გარეუბანში მივიდნენ შტატგარეში კორესპონდენტთან ერთად. იქ მათ უთხრეს, რომ ქალაქს ქართული ჯარები აკონტროლებენ. მათ დაინახეს ჯარისკაცები კომუფლაჟში და მათთან დაიწყეს ქართულად ლაპარაკი. სინამდვილეში ესენი იყვნენ რუსი ჯარისკაცები ან სეპარატისტები. მათ ცეცხლი გაგვიხსნეს. ჩვენი ორი კაცი დაიღუპა. ორი დაიჭრა. მე შოკში აღმოვჩნდი. დაიღუპა ჩემი შტატგარეში ჟურნალისტი გოჩა ჩიხლაძე, დაიჭრა ჩემი რედაქტორი ამერიკის შეერთებული შტატებიდან უინსტონ ფეზერლი. მეორე დაჭრილი ჟურნალისტი თემურ კილურაძე ქართველი იყო. რუსებმა დაჭრილები ვლადიკავკაზში წაიყვანეს. მე მოვახერხე დავკავშირებოდი მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და მისმა თანამშრომლებმა გამოიყვანეს უინსტონი. თემურის მდგომარეობა უფრო სერიოზული იყო. იგი იყო ქართველი და ადგილობრივ ბრბოს მისი მოკვლა უნდოდა. კილურაძე დაიცვეს მოლაშქრეებმა, რაც მეტად კეთილშობილური მათი მხრიდან.

ვგრძნობ თუ არა თავს დამნაშავედ? არა. მე ისინი იქ არ გამიგზავნია. გავაფრთხილე ისინი, რომ არ გასცილებოდნენ გორის საზღვრებს. ეს იყო მათი საკუთარი ინიციატივა – ჩასულიყვნენ ცხინვალში. ყველა ისინი ახალგაზრდები იყვნენ – ოც წელზე ოდნავ მეტი ხნის. ომის დროს გამაოცეს რუსმა სამხედროებმა. არ ველოდი, თუ ისინი ასეთი მკაცრები აღმოჩნდებოდნენ. ისინი ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას. რუსეთი და საქართველო ერთად მუშაობდნენ 200-ზე მეტი წლის განმავლობაში. ჩვენ იმდენი რამ გვქონდა საერთო, მაგრამ ეს ყველაფერი განადგურდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ჩემი თაობა გაიზარდა საბჭოთა კავშირში. ჩვენ გვზრდიდნენ რუსეთის ისტორიაზე და კულტურაზე. მე ბევრი მეგობარი მყავდა სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში, მაგრამ დავკარგე მათთან კავშირი. ომი დროთა განმავლობაში წარსულში გადავა, ხოლო კულტურული და საქმიანი ურთიერთობანი აღდგება. მაგრამ რუსები ძალიან ჯიუტები არიან: ისინი ძნელად რომ შეელიონ სამხრეთ ოსეთს. მხოლოდ იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი პოლიტიკოსები გააკეთებენ რაიმე ისეთს, რასაც ნაყოფიერი შედეგი ექნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ზაზა გაჩეჩილაძე

The Observer

## გულის ბუხარი

**აუჰ! როგორც იქნა გველირსა... რამდენ ხანს დაიგვიანე შე დალოცვილო შენა. გადაგვეწურა იმედი ხარებს... გვიშველის ახლა შენი მობრძანება? რამდენი გაიქცა საზღვარგარეთ, იქ ხნავენ და თესავენ, იქ ღვრიან ოფლს და ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს, იქ მრავლდებიან და თავიანთ შთამომავლებს იმ ქვეყნის მოქალაქეობას აძლევენ.**

რა წლები არ გამოვიარეთ, — ძაღლის და ღორის, თხისა და ვირთხის, შენ კი არ ჩანდი.

2003 წლის 23 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა წერილი „თხა თუ მგელმა შეჭამა“, მოდი ვნახოთ ცხვარი“. ავტორი ეხვეწებოდა ჩვენს მოქალაქეებს, თხის წელი შეეცვალათ ცხვრის წლად, რადგან თხა, მხოლოდ პრობლემებს შეუქმნიდა ჩვენს ხალხს, რომ თხასავით პოლიტიკოსს სჯობდა ცხვარივით პოლიტიკოსი.

ჩვენმა მოქალაქეებმა ავტორს არ დაუჯერეს და იმ წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მიიღეს დღევანდელი ხელისუფლება. მთავრობის მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ კი ხარების მიგრაცია გამოიწვია.

მაინც რა უნდოდათ ხარებს? ხარი „ბუნტარი“, ჭირვეული, ბევრის მომთხოვნი, თითქმის არავის უნახავს.

ხარებს უნდოდათ უღელი ქედზე, გუთანი, ჭაპანი, სახნავ-სათესი და რწმენა, რწმენა იმისა, რომ მათი ნამუშევარი თავიანთ ქვეყანას მოხმარდებოდა.

რწმენა წაართვეს ხარებს და მათ საკუთარ ქვეყანაში ხვნა-თესვა აღარ ისურვეს.

დღეს, გამაოგნებელია ამ ქვეყანაში მოვლენების განვითარების დინამიკა, მოსალოდნელი შედეგები. ჩვენი მოსახლეობის მიერ მოხმარებული პროდუქციის 80 პროცენტს, როგორც ამტკიცებენ, უცხოეთიდან ვღებულობთ, მას ყიდულობენ ჩვენი მოქალაქეები თავიანთი შვილების და მეუღლეების (გაქცეული ხარებისძ მიერ გამოგზავნილი დოლარებით და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მატება სახეზეა.

ეკონომიკის მატება ხდება სხვა გზითაც: მეტროში მგზავრობა ღირდა 20 თეთრი, გახადეს 40 თეთრი... ეროვნული ბანკი ხელოვნურად ამყარებს დოლარს და მიღებულ დახმარებას გაყიდის ძვირად... და ა. შ.

ხარების გაქცევა სხვა ქვეყნებში, დასავლეთისკენ სამათხოვროდ გაწვდილი ხელი, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას თურმე არ განსაზღვრავს.

„სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, რწმენის ადამიანები უნდა გაერთიანდნენ“, ბრძანებს ბატონი პრეზიდენტი, პოლიტიკოსს თვალებში, დაინახავ მხოლოდ ამერიკულ დოლარებს.

ხარებს გვაქვს მოთმინების უნარი, ბევრ რამეს კიდევ მოვითმენდით რომ არა ჩვენს თავზე დატეხილი ომი, რომელმაც ძირითადად ხარების სიცოცხლე შეიწირა (აბა, პოლიტიკოსების სიცოცხლეს ხომ არ შეიწირავდა?ძ.

არავინ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ უწმინდესი და უნეტარესი არ შესულიყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არ გამოეყვანა სახლკარდამწვარი, გაუბედურებული ჩვენი მოქალაქეები.

# სავსე თასით გაღღეგრძელებთ!

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი არ ერთიანდებიან, ან რა გააერთიანებთ, იქნებ ჩვენს ღერბზე დაწერილი სიტყვები — „ძალა ერთობაშია“?

ძალა ჭეშმარიტებაშიაო, ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი და მას ეთანხმება ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი.

„ჩვენ მივდივართ დასავლეთისკენ ფასეულობებისთვის, ჩვენი განვითარების ვექტორი მიმართულია დასავლეთისკენ“, აცხადებენ ჩვენი ხელისუფალნი და არც აკონკრეტებენ რა ფასეულობებისთვის მივდივართ ყველა (?ძ ან როგორ ჯდება ასეთი მოწოდებები ქვეყნის დემოკრატიზაციის ჩარჩოებში?

წელო ახალო, ალბათ იკითხავ, რა მიზნები აქვთ ამ ქვეყნის პოლიტიკოსებს.

მოგახსენებთ, რომ დღეს მსოფლიოში პოლიტიკოსთა მიზნების ამოსაცნობად თვალებში ჩახედვაა მოდაში. ჩახედავენ პოლიტიკოსს თვალებში (თვალები ადამიანის სულის სარკეაოძ და რაზედაც ყოველთვის ფიქრობს პოლიტიკოსი, რაც ესიზმრება თუ ელანდება, დაინახავენ მას.

ხარის წელიწადო, თუ ჩახედავ ჩვენს

გაუბედურებული მოქალაქეების ოდენობამ და ომის საშინელებებმა უწმინდესსა და უნეტარესს გული ატკინა. როდესაც გულისტკივილი ძალიან გაუმძაფრდა და ყველა გადარჩენილი მოქალაქეც გამოიყვანა სამშვიდობოს, უწმინდესი და უნეტარესი საზღვარგარეთ დაგეგმილი ვიზიტების გამო, ქვეყნიდან გავიდა და გერმანელ ექიმ-კარდიოლოგებს მიაკითხა.

გერმანელ კარდიოლოგებს გამოკვლევა ჩაუტარებიათ, რენდგენზე გაუტარებიათ, სურათი გადაუღიათ, დაკვირვებიან და... გულის ტკივილის მიზეზები თვალნათლივ დაუნახავთ.

სურათზე თურმე ნათლად იყო გამოსახული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკოსების მთავარი (უფროსიძ პოლიტიკოსის თავკაცობით.

დაღონებულან ექიმები: ვინ მოსთხოვდა უწმინდესსა და უნეტარესს ამოეღო გულიდან, თუნდაც დროებით, სულ რაღაც 15-20 თავისი სულიერი შვილი, რომლებიც გულს სტკენდნენ? ან რომ მოეთხოვათ, ამოიღებდა გულიდან თუნდაც ერთ სულიერ შვილს?



გარკვეული დროის შემდეგ ექიმებს გახსენებიათ, რომ უწმინდესისა და უნეტარესის სიცოცხლეს უფალი განაგებს. ეს ამბავი გახარებიათ, გულსისხლძარღვზე ე. წ. „სტენტი“ ჩაუდგამთ და უთქვამთ: რამდენიმე დღის შემდეგ გულისტკივილი მოეხსნებოდა..

ამასობაში, სრულიად საქართველოს მართლმადიდებლობა ლოცვად დამდგარა, უფალს წყალობით გადმოუხედავს და უწმინდესსა და უნეტარესს გულისტკივილი მოხსნია.

ხარის წელიწადო, ამას ასე დაწვრილებით იმიტომ გიყვებით, რომ თავიდანვე დაინახო ამ ქვეყანაში ხარების ტრაგიკული მდგომარეობა. შენ უნდა მოაბრუნო აქედან გაქცეული ხარები. აქ უნდა ხნან და თესონ, აქ უნდა გამრავლდნენ და ამ ქვეყნის ჭაპანი უნდა გასწიონ, ხოლო თუ ეს ასე არ მოხდა, მთიდანაც ჩამოირბენენ, ბარშიაც შეიკრიბებიან, ერთად დადგებიან, ფეხებით მიწას მოფხოჭნიან, დაიზმუილებენ და შუბლით დაეჯახებიან შინაურსა თუ გარეულს, ყველას, ვისაც თვალებში მხოლოდ დოლარები ელანდება.

მანამდე კი, ღვინით პირამდე სავსე თასით, ფეხზე დგომით, დიდი პატივისცემით და მოკრძალებით, დიდი იმედით, შენ გადღეგრძელებ — შენს მობრძანებას გაუმარჯოს, ხარის წელიწადო!

ასე მტერი დაგვეცალოს!

**ხარები პირთამდე სავსე ამ თასს ბოლომდე ვსვამთ!**

ნუგზარ კობახიძე.
ქ. ბოლნისი

## ინფორმაცია



### არღვევენ საკუთრების უფლებას

**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთრების უფლების დარღვევაში ადანაშაულებს.**

**გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მანანა ნაჭყებიამ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, სახელმწიფომ კერძო კომპანია „ორთაჭალენერჯის“, რომელსაც 25-წლიანი საიჯარო ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სახელმწიფო შპს „ორთაჭალა 2007“-თან, ცალმხრივად შეუწყვიტა ხელშეკრულება და საეჭვო გარემოებებში გაყიდა „ორთაჭალჰესი“.**

**„ორთაჭალჰესის“ მფლობელი შპს „ორთაჭალჰესი 2007“-ია, რომლის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო. სახელმწიფოს აქვს უფლება მისი საკუთრება გაყიდოს, მაგრამ „ორთაჭალენერჯის“ შემთხვევაში უხეშად არის დარღვეული მესაკუთრის უფლებები.**

**ჰესი 1994 წლიდან 25-წლიანი იჯარით აქვს აღებული „ორთაჭალენერჯის“ და იჯარის ვადა 2019 წელს იწურება.**

**„ორთაჭალენერჯიმ“ საწარმოში ამ ხნის განმავლობაში 3 მილიონზე მეტის ინვესტიცია ჩადო და საიჯარო თანხასაც იხდიდა“, — განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.**

**მანანა ნაჭყებიას თქმით, 19 დეკემბერს სახელმწიფომ დაარღვია ხელშეკრულება და პრაქტიკულად „ორთაჭალენერჯის“ ქონება გაყიდა.**

**მინდა მივმართო ბატონ ლაშა ჟვანიას, თქვენ კი აჩვენებთ თავს საზოგადოებას, რომ სახელმწიფო მართვის საკითხებში პიროვნულად რაიმეს წყვეტთ, მაგრამ საქართველოს თქვენი სახით კიდევ ერთი ნომინალური ეკონომიკის მინისტრი ჰყავს, რადგან ქონების წართმევის, გასხვისების თუ მისაკუთრების ბედს ქვეყანაში კვლავ პრეზიდენტი და მისი ვიწრო გარემოცვა წყვეტს, — განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.**

### ეზუგბაიას თანამდებობა არ დაუტოვებია



**შპს „საქართველოს რკინიგზაში“ ირაკლი ეზუგბაიას მიერ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერას არ ადასტურებენ.**

**როგორც „შპს საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა სტეფნაძემ განაცხადა, ეზუგბაია ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ეზუგბაიამ თანამდებობიდან წასვლის შესახებ პრემიერ-მინისტრის სახელზე განცხადება უკვე დაწერა. მის შემცვლელად კი, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ დირექტორი ბიძინა ბრეგაძე სახელდება.**

### მოსახლეობას საახალწლოდ ნუ დავზაფრავთ!

**ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდო ბაღათურია ქვეყანაში მოსალოდნელი პროვოკაციების თაობაზე ხელისუფლების მზადყოფნით ინტერესდება.**

**როგორც ბაღათურიამ პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, მოსახლეობა შეშინებულია იმ წარუმატებლობის გამო, რაც გამოიხატება გაეროსა და ეუთოს მისიების საქართველოდან გასვლაში.**



**ბაღათურიამ ხელისუფლებას მოუწოდა, საახალწლოდ მოსახლეობა არ დაზაფრონ და პარლამენტის თავმჯდომარეს, პრეზიდენტს, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს განმარტებების გაკეთებას სთხოვს.**

**ხალხმა უნდა იცოდეს, უსაფრთხოების რა ზომებია მიღებული, რათა რაიმე ახალ პროვოკაციაზე არ წამოვეგოთ და კიდევ არ მოხდეს სამხედრო დაპირისპირების ესკალაცია ჩვენსა და რუსეთს შორის, — დასძინა ბაღათურიამ.**

### „გაერთიანებული ტელეკომი“ კვლავ აძვირებს გადასახადს

**„გაერთიანებული ტელეკომის“ ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ყოველთვიური გადასახადი თბილისში 5-დან 8 ლარამდე იზრდება. ამის შესახებ „გაერთიანებული ტელეკომიდან“ იტყობინებიან.**

**მათივე განმარტებით, 2009 წლიდან თვეში 8 ლარს გადაიხდიან, ასევე, ციფრული სადგურების აბონენტები სიღნაღში, თელავში, მარნეულში, გარდაბანში, გორში, ხაშურში, ქარელში, კასპში, ბორჯომში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ხარაგაულში, სენაკში, ხობში, ოზურგეთში, ფოთში, აბაშაში, ლანჩხუთსა და ზუგდიდში.**

**კომპანიის ცნობით, მოძველებული სატელეფონო სადგურების აბონენტებისთვის გადასახადი არ შეიცვლება და კვლავ 3 ლარი იქნება.**

**გარდა ამისა, თვეში 4 ლარს გადაიხდიან რუსთავისა და ქუთაისის აბონენტები, რადგან ამ ქალაქებში სხვა სატელეფონო ოპერატორებიც მუშაობენ.**

### მილიონზე მეტი სანოტარო მოქმედება

**საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სტატისტიკური მონაცემებით, 2008 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით საქართველოს ტერიტორიაზე 1 023 726 სანოტარო მოქმედება შესრულდა. ამ პერიოდში ნოტარიუსების მომსახურებით 721 615-მა მოქალაქემ ისარგებლა.**

**როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, სანოტარო მოქმედებათა ნახევარზე მეტი — 591 906 — თბილისის ნოტარიუსებმა შეასრულეს.**

**მოქალაქეები ნოტარიუსებს ყველაზე ხშირად დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურების, თარგმანის, ასევე, ასლის დედანთან სისწორის დამოწმების, მოძრავი და უძრავი ქონების მინდობისთვის მიმართავდნენ.**

### განაახლებენ ვადაგასულ საკასო აპარატებს

**ვადაგასული საკასო აპარატების გასაახლებლად ფინანსთა სამინისტრო მომავალ წელს 1 მილიონ ლარს გაიღებს.**

**ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა.**

**აღნიშნული საკითხით საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი გოდაბრელიძე დაინტერესდა.**

**ფინანსთა მინისტრის განმარტებით, საკასო აპარატების ნაწილს მომავალ წელს ვადა გასდის, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე კი, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, თავად შეიძინოს აპარატები.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

**მხიარულიც, სევდიანიც**

# მოციმციმე ანგელოზები თბილისში

**ახალი იმედებითა და მოლოდინებით სავსე 2009 წელი მოდის. დედაქალაქი მორთულია – უზარმაზარი ნაძვის ხეები დადგეს, ქუჩებში მოციმციმე ანგელოზები დაამონტაჟეს, გზების თავზე კი ფერად-ფერადი და ბრჭყვიალა ნათურები ჩამოკიდეს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ყველა დაწესებულებამ, განსაკუთრებით, მაღაზიებმა, ვიტრინები და ინტერიერი ახალი წლის შესაფერისად მორთეს. ეს ყველაფერინაადრევად მოსულმა თოვლმა კიდევ უფრო დაამშვენა და თბილისი ზღაპრულ ქალაქად გადაიქცა.**

**მოსახლეობაში ეს სამზადისი არაერთგვაროვან განცდას ბადებს. ზოგს მოსწონს გალამაზებული ქალაქი, ზოგი კი ფიქრობს, რომ ასეთი მძიმე ყოფის დროს ტაშ-ფანდურის გამართვა ზედმეტია.**

მალური ახალი წელი გაითენონ და მერე ზეიმიც შეიძლება.

**ნატო მუმლაძე, სტუდენტი:**

– საქართველოში დღეს ბევრს უჭირს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დღესასწაულები არ გვჭირდება. ადამიანს ცოტა ხნით მაინც დაავიწყდება გაჭირვება. სხვა ევროპულ ქვეყნებში არ არიან სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანები? მაგრამ მათ არც ახალი წელი გადაუგდიათ და არც შობა.

**საახალწლო ზღაპარი თოვლის პაპის გარეშე წარმოუდგენელია, მით უმეტეს, ბავშვებისთვის. თბილისსაც ტრადიციულად შორეული მთებიდან თოვლის პაპა ესტუმრა და ვარდების მოედანზე დაბინავდა. მას შემდეგ მის სახლთან პატარების გრძელი რიგი დგას. ისინი დიდი მოთმინებით ელიან ზღაპრებსა და საჩუქრებს.**



**იამზე კენჭოშვილი, დიასახლისი:**

– მომწონს მორთული თბილისი. სასიამოვნოა, გარეთ რომ გახვალ და სადღესასწაულო განწყობა დაგეუფლება, მაგრამ ირგვლივ იმდენი გაჭირვებული ადამიანია და საქართველომ იმდენი უბედურება გადაიტანა, გიქრება ზეიმის სურვილი.

**ლენა თიგიშვილი, პენსიონერი:**

– ცდილობენ, ხალხს გაჭირვება დაავიწყონ და ათასგვარ რამეს იგონებენ, ნაძვის ხეებს საზეიმოდ ანთებენ. ჯერ ხალხს მისცენ იმის საშუალება, რომ ნორ-

**ვარდების მოედანზე სცენაც არის მოწყობილი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ თოჯინების თეატრის სპექტაკლები იხილონ. აქვეა დიდი ნაძვის ხეც, რომელიც თბილისის მერმა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიგადას უშაცკასმა წინასაახალწლოდ გამართულ კონცერტზე საზეიმოდ აანთეს და იქ მყოფ ბავშვებს, მათ მშობლებს და სრულიად საქართველოს დამდეგი ახალი წელი მიულოცეს. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული ჯგუფი „ბზიკები".**

**ანა წიწილაშვილი**

**რას ვნახავთ, რას მოვისმენთ**

# ნაახალწლევს დედაქალაქის თეატრებში

**თბილისის ოპერის თეატრში ვარსკვლავების ცვენაა. უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი საოპერო მომღერლები ახლა აქ თეატრის გუნდთან და ორკესტრთან ერთად რეპეტიციებს გადიან. სწორედ მათი მონაწილეობით შესთავაზებს თეატრი მსმენელებს ახალი წლის პირველ საპრემიერო სპექტაკლს.** 4 იანვარს ქართულ სცენაზე საკონცერტო შესრულებით (სადადგმო თანხის უქონლობის გამოძ პირველად აჟღერდება ვერდის ოპერა „ნაბუქო", რომლის მსოფლიო პრემიერა გამართულა 1842 წლის მარტში მილანის „ლა სკალაში".

ბიბლიურ ისტორიაზე დაფუძნებული პიესის მიხედვით შექმნილ ამ ოპერას განუსაზღვრავს კომპოზიტორის არტისტული კარიერა. მისი სცენური ისტორია კი ცხადყოფს, რომ იგი მუდამ იდგმება სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის მხოლოდ ძალიან მშფოთვარე პერიოდში და მას მოიხსენიებენ როგორც განახლების, აღდგენისა და მომავლის იმედის სიმბოლოს.

თბილისურ პრემიერაში მონაწილეობენ: პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი, ზურაბ სოტკილავა, ნინო სურგულაძე, ნანა ქავთარაშვილი, თეატრის სოლისტები – ირინე რატიანი, სულხან გველესიანი, ლევი იმედაშვილი, ელენე პუტილოვა, გიორგი მახარაძე, მანანა იორდანიშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე, თამაზ საგინაძე.

ოთხი იანვრის სპექტაკლი ვარსკვლავების მონაწილეობით იმართება პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" ეგიდით.

– ძალიან გვიხარია, რომ პაატა ბურჭულაძე ხშირად თანამშრომლობს ჩვენს თეატრთან და „იავნანას" ასეთ მნიშვნელოვან აქციებში ვილებთ მონაწილეობას. მისი სიმღერა მსმენელთან ერთად ჩვენთვისაც დღესასწაულია. ჩვენც ვცდილობთ ყველანაირი პირობა შევუქმნათ მას, რაც ჩვენთვის სიამოვნებაც არის და დახმარებაც, – აღნიშნავს ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და „ნაბუქოს" დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

„ნაბუქო" თეატრის რეპერტუარში ვერდის მეექვსე ოპერა იქნება. იგი საოპერო ლიტერატურაში ფრიად რთულ შესასრულებელ ნაწარმოებად ითვლება მეტადრე ბანის, ბარიტონისა და სოპრანოს პარტიების გამო. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს მიაჩნია, დღეს თეატრს საამისო შესაძლებლობები აქვს.

რეპეტიციები მიმდინარეობს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრშიც, ახალი წლის პირველ პრემიერად თეატრი მალე შესთავაზებს მაყურებელს ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „ბუშების" მიხედვით შექმნილ სპექტაკლს. წარმოდგენას დგამს ახალგაზრდა რეჟისორი კობა მსხილაძე.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი მსახიობი გურანდა გაბუნია (მამიდა ეფროსინეძ და ახალგაზრდა მსახიობი ნიკა კუჭავა (ნოდარიაძ. წარმოდგენაში მონაწილეობენ აგრეთვე ეკა მჟავანაძე, ეკა ნიჟარაძე, ნინაკა გელაშვილი, ზურაბ ბერიკაშვილი და სხვები.




– ძალიან მომწონს ჩემი გმირი და მისი სახის შექმნაზე ინტერესით ვმუშაობ. ცოტა კომიკურიც, ცოტა გულსატკენიც, ცხოვრებაც ხომ ასეთია, – ამბობს ქალბატონი გურანდა.

საახალწლო კვირეულის დღეებში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი თავის საუკეთესო დადგმებს უჩვენებს მაყურებლებს. პატარებისთვის კი სცენაზე გაცოცხლდებიან არჩილ სულაკაურის ზღაპრის „სალამურას" გმირები. „სალამურა" რობერტ სტურუამ 1971 წელს დადგა. ამჯერად თეატრი ბავშვებს მის ახალ ვერსიას სთავაზობს.

**დაახლოებით ასეთია ახალი წლის პირველი დღეების თეატრალური აფიშა დედაქალაქის მთავარ თეატრებში.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ინფორმაცია**

# პრობლემები მშვიდობიანად გადავჭრათ

**დიდი ბრიტანეთის ელჩთან დენის კიფთან შეხვედრისას აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სეპარატისტული აფხაზეთი დაინტერესებულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებითა და ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების გაგრძელებით.**

**დიდი ბრიტანეთის ელჩის ვიზიტი აგვისტოს მოვლენების შემდეგ პირველია აფხაზეთში. სოხუმში მყოფი დენის კიფი აფხაზეთის ხელისუფლებასთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებსა და ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაწილეობას განიხილავს, – იუწყება აფხაზური მხარე.**

**მათივე ინფორმაციით, აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას დიდი ბრიტანეთის ელჩმა ასევე განიხილა გალის რეგიონში არსებული სიტუაცია. სერგეი შამბამ თავის მხრივ აღნიშნა, რომ აფხაზური მხარე დაინტერესებულია არსებული პრობლემების უსწრაფესად მოგვარებაში.**

**ამას გარდა, სერგეი შამბა ასევე აცხადებს, რომ აფხაზური მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციებში მონაწილეობას.**

**შეეხო, რა გალის რეგიონში არსებულ სიტუაციას, შამბამ განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გალის რეგიონში დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანის აუცილებლობა უსაფრთხოების ზომების გაძლიერების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ამავე დროს სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ზომები გალის რეგიონში დროებით ხასიათს ატარებს და ისინი მას შემდეგ გაუქმდება რაც რეგიონში სიტუაცია სტაბილურობის ნიშნულს გაუტოლდება.**

ХО-ЭОВ-ЭНО

**ჩვენსკენ მოეშურება**

# ყვითელი ხარის წელიწადი

**ჩვენს პლანეტაზე დგება ახალი წელი – ყვითელი ხარის წელიწადი. აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, ის უნდა იყოს წინა წელზე გაცილებით წყნარი, სასიკეთო, თუმცა, როგორც ასტროლოგები გვაფრთხილებენ, მისგან ნუ მოველით ერთბაშად დიდ სიმდიდრესა და აყვავებას. მათივე მტკიცებით, ხარის წელიწადში ყველა პროცესი – პოზიტიურიც და ნეგატიურიც ძალზე ნელა განვითარდება. ასე რომ, შეგვეძლება უსიამოვნებებისთვის მომზადებაც და ღირსეულად გამკლავებაც.**

ახალი წელი გაამართლებს იმათ იმედებს, ვისაც ხელეწიფება ეკონომიკა და კოლექტიური მუშაობა, შეუძლია თავის გეგმების მოთმინებით განხორციელება. ის განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება ბუნებრივი რესურსების მომპოვებლებისა და გადამმუშავებლებისთვის სოფლის მეურნეობისთვის, მიწებისა და უძრავი ქონების მფლობელთათვის.

როგორც წინასწარმეტყველებენ განსაკუთრებით მძიმე იქნება იანვარი და აგვისტო. სწორედ ამ დროს გაჩნდება ფინანსური პრობლემები და ბუნებრივ კატაკლიზმებთან დაკავშირებული სიძნელეები.

თუმცა, შესაძლებელია პლანეტების ზეგავლენის გადალახვა. პირველ რიგში, ამისთვის საჭიროა 2009 წლის დადგომის კარგად აღნიშვნა. შეხვედრის ადგილს ამჯერად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყვითელი ხარი თითქმის ყველგან კომფორტულად გრძნობს თავს. მთავარია, „სტუმარს" შეხვდეთ მხიარულ და კარგ კამპანიაში – გინდ სახლში, ან აგარაკზე, რესტორანში თუ სტუმრად მეგობრებთან და ნათესავებთან.



ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა გეცმევათ. ამ დროს ყველას აჯობებს ამისთვის თქვენ შეარჩიოთ ღია ფონების კაბა ან კოსტიუმი – ყვითელი, ოქროსფერი, ან ლალისფერი. ურიგო არ იქნება ღია ვარდისფერი, სალათის ან ზღვის ტალღების ფერი. ამავე დროს არასასურველია შავი, მუქი ყავისფერი, ნარინჯისფერი და წითელი ტონები. თანაც ახალი წლის ღამეს არ გირჩევდით ბრწყინვალე ზიზილ-პიპილოებით მორთვას, ან ბეწვეულით შეფუთვნას. სამაგიეროდ, შეგიძლიათ შეიმკოთ ვერცხლის, პლატინისა და ოქროს მასიური ძეწკვით, ბეჭდებით, ექსკლუზიური დეკორატიული მაკიაჟით, ასე მორთული ნამდვილად მოეწონებით და წარმატებებს მოგიტანთ ყვითელი ხარი.

ახლა კი ცოტა რამ ნაძვის ხის შესახებ, რომლის გარეშე წარმოუდგენელია საახალწლო ზეიმი. მთავარია გემოვნებით შეარჩიოთ და მორთოთ წიწვიანი ლამაზმანი. ვიდრე ნაძვის ხის მორთვას დაიწყებდეთ, სწორად შეარჩიეთ მისთვის ადგილი ოთახში – რაც შეიძლება შორს გამათბობელი მოწყობილობებიდან და ახლოს ელექტროჩამრთავთან. რადგან ელექტროდამაგრძელებელი არცთუ მოუხდება თქვენს საახალწლო ინტერიერს. ელექტროგირლანდები კი, ხომ იცით, როგორ აცოცხლებს ნაძვის ხეს. მრავალფეროვანი სათამაშოები კი ნაძვის ხეზე ისე უნდა განალაგოთ, რომ მათ ნათურების სინათლე ეცემოდეთ. რაც მეტ ეფექტს შესძენს მათ. უმჯობესია, სათამაშოები ტოტებზე ძაფით კი არა, ლითონის სამაგრებით (სკრეპებითძ დაკიდოთ. თუ რომელ სათამაშოებს გამოიყენებთ, თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული, უხვად გამოიყენეთ ატლასის ბაფთებიც.

**აბა, თქვენ იცით, ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ!**

ჭადრაკი



# სეზონის ფინიში მაჟორული აკორდით

**გუშინ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დიდი ზეიმი გაიმართა. ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა წლის საუკეთესო მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძე, მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი და იმერეთის რეგიონული საჭადრაკო ფედერაცია (პრეზიდენტი კახა წურალიძე).**



პრიზები გადაეცათ თექვსმეტწლიან გოგონებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს, ოცწლიანებში ბრინჯაოს მედალოსან ნაზი პაიკიძეს, თოთხმეტწლიანებში ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორ მერი არაბიძეს, ამავე ასაკში მსოფლიო პირველობის „ვერცხლის“ მფლობელ ნოდარ ლორთქიფანიძეს, თექვსმეტწლიანებში ბრინჯაოს პრიზიორ ქეთი წაწალაშვილს, საჭადრაკო კომპოზიციებში მსოფლიო ჩემპიონატის მესამეადგილოსან დავით გურგენიძეს.

სპეციალური ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ წლევანდელი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები – მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი და გუნდის კაპიტანი ნინო გურიელი, ასევე, სახელოვანი დიდოსტატები – ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, თამაზ გიორგაძე.

საახალწლო საღამოს გაგრძელება იყო ჭადრაკის სასახლის 35 წლისადმი მიძღვნილი საახალწლო ბლიც-ტურნირი 10 ათასი ლარის საპრიზო ფონდი. ღონისძიება თბილისის მერიის სპორტის სამსახურმა დააფინანსა.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: გია გიორგაძე სპეციალური პრიზით აჯილდოებს იმერეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტ კახა წურალიძეს; ბლიცტურნირის მსვლელობისას (წინა პლანზე ნონა გაფრინდაშვილისა და ზურაბ სტურუას შეხვედრის მომენტი.**

**ავტორის ფოტო.**

წლის ლაურეატები

# საუკეთესოები ღირსეულად დააფასეს



**საქართველოს სპორტსმენებისთვის წლევანდელი სეზონი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა:** ოლიმპიურ თამაშებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო), რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს ნინო სალუქვაძემ (ტყვიის სროლა), გიორგი გოგშელიძემ და ოთარ თუშიშვილმა (ორივე – თავისუფალი ჭიდაობა). ევროპის ჩემპიონატებზე ოქროს მედლები მოიპოვეს გოგშელიძემ, ზაზა კედელაშვილმა (ძიუდო), მირიან პავლიაშვილმა, ლევან წიკლაურმა (ორივე – სამბო), ვერცხლის მედლები ხვდათ მინდორაშვილს, ნინო სალუქვაძეს (ტყვიის სროლა), კობა კაკალაძეს (თავისუფალი ჭიდაობა), ბადრი ხასაიას (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), უშანგი კუზანაშვილს (სამბო), „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდნენ რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ნესტორ ხერგიანი, დავით ქევხიშვილი, ირაკლი ცირეკიძე (სამივე – ძიუდო), მინდია ბოდაველი, დავით სვიმონიშვილი, ავთანდილ ცინცაძე (სამივე – სამბო).



გუნდურ პირველობებში საქართველოს ქალთა ნაკრებმა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ძიუდოისტთა ნაკრები (ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, ნოდარ მეტრეველი, ირაკლი ცირეკიძე, ვარლამ ლიპარტელიანი, ლომერ ჭორჭოლიანი, ლაშა გუჯეჯიანი), მორაგბეებმა კი ევროპის ერთა თასი დაისაკუთრეს.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა წლის მიწურულს ოთხ ნომინაციაში გამოავლინეს გამარჯვებულები. საუკეთესო სპორტსმენად ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძე დაასახელეს, მწვრთნელად – ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), გუნდად – მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, ხოლო საუკეთესო ფედერაციად – მოჭიდავეთა ამქარი (პრეზიდენტი კახა გეწაძე). დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

**ლექსო ცინცაძე**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**



ინტერნეტიდან

## საახალწლოდ ციხეში?

**ორშაბათს, უთენია, ბრიტანულმა პოლიციამ დააპატიმრა „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი და მისი კიდევ ხუთი თანამეინახე. მათ ბრალად ედებათ ლივერპულის ჩრდილოეთში, ქალაქ სუტპორტის ერთ-ერთ ბარში ჩხუბი.**

როგორც პოლიციამ განაცხადა, 28 წლის ფეხბურთელმა და კიდევ ხუთმა მამაკაცმა ღამის სამის ნახევარზე სცემეს უცნობ მამაკაცს, რომელიც სერიოზულად დაზარალდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს სახის ტრავმით. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.



უნდა აღვნიშნოთ, რომ კვირას ინგლისის პრემიერლიგის მორიგ მატჩში „ლივერპულმა“ გაანადგურა „ნიუკასლი“ – 5:1. თავად გუნდის კაპიტანმა ჯერარდმა ორი გოლი გაიტანა. ამბობენ, რომ ბარში ის ამ გამარჯვებას ზეიმობდა.

## მსოფლიო რეკორდი... გაძევებაში

**დამდეგ ახალ წელთან შესახვედრად განსაკუთრებით „მოემზადა“ ფეხბურთში ინგლისის ჩემპიონატის მეშვიდე დივიზიონის კლუბის „ჩიპენჰემ ტაუნის“ თავდამსხმელი დევიდ პრატი. ის მსოფლიო რეკორდსმენი გახდა... მინდვრიდან გაძევებაში. გასულ კვირას „ბეშლისთან“ შეხვედრაში მსაჯმა გაძევების წითელი ბარათი უჩვენა მატჩის მესამე წამზე (!), რადგან ის უხეშად ჩაუვარდა ფეხებში მეტოქეს.**



თუ ფეხბურთის ისტორიკოსებს დავუჯერებთ, პრატმა 7 წამით „გააუმჯობესა“ 1990 წელს დამყარებული ადრინდელი რეკორდი. მსოფლიო რეკორდსმენად კი ითვლებოდა იტალიური „ბოლონიას“ მოთამაშე ჯუზეპე ლორენსო. მან 18 წლის წინათ გაარტყა მეტოქეს იტალიის ჩემპიონატის მატჩზე მე-10 წამზე. უფრო ადრე კი რეკორდსმენი იყო „შეფილდ უენდსდეის“ მეკარე კევინ პრესმანი, თავის საჯარიმოზე ხელით რომ ითამაშა 2000 წელს და მეცამეტე წამზე გააძევეს მინდვრიდან.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივად, მაგრამ არაოფიციალურად ამ „სარეკორდო“ მარათონის „ფუძემდებლად“ აქამდე ითვლება ინგლისის სამოყვარულო ლიგის მოთამაშე ლი ტოდი. ის მინდვრიდან 2000 წელს გააძევეს მეორე წამზე მსაჯის საწყის სასტვენზე ძალზე ემოციური რეაგირებისთვის: „შენი დედაც... რა ხმამაღლა უსტვენ!“

## სპორტულ ვარსკვლავს ეხმარება

**ყოველ შემთხვევაში, ასე ლაპარაკობენ იტალიაში „იუვენტუსის“ მეკარის ჯანლუიჯ ბუფონის საყვარელ ქალზე – მოდელ ალენა სერედოვაზე.**

ბუფონი ხომ იტალიაში 2008 წლის სპორტულ ვარსკვლავად აღიარეს, ეს აზრი კი გაავრცელა ერთ-ერთმა კანტორამ, სპორტსმენებზე რეპუტაციას, მის კვალიფიკაციას, აგრეთვე მათდამი გულშემატკივრების დამოკიდებულებას რომ შეისწავლის. სწორედ საზოგადოებრიობის აღიარებით, ლამაზმანი ძალზე პოზიტიურად ზემოქმედებს ფეხბურთელზე. „თუკი ასეთი ლამაზმანი „გამოიჭირა“, განა სხვა წარმატებებს ვერ მოიპოვებს?“ – კითხულობენ ხმამაღლა.



„სავარსკვლავეთში“ მეორე ადგილზე ფრანჩესკო ტოტია, მესამეზე კი – ალესანდრო დელ პიერო.

ქალებში პირველი ადგილი მოიპოვა ფედერიკა პელეგრინმა.

## დაუვიწყარი სტრიქონები

### ანა კალანდაძე:

„და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ღამისმთევარი
თოვლში ნაზდითა...
დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა“...

### ლადო ასათიანი:

„სანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოდები,
ყოველ ახალ წელიწადს მარად მომაგონდები.
შორი გზიდან მოსული, მამა-პაპის ჯილაგი –
უცხოდ განათებული, პატარა ჩიჩილაკი.
უცხოდ განათებული, სხვაზე არ გასაცვალი:
მწვანე სუროს ფოთოლი... კურკანტელას მარცვალი...
უზარმაზარ ოდაში მუხის ცეცხლი გუგუნებს,
ბავშვი, გაოცებული, მხოლოდ შენ შემოგყურებ“.

### ოთარ ჭილაძე:

„ეს წელიც გაქრა, უკვალოდ გაქრა
და არა მხოლოდ ჩემთვის... ყველასთვის.
მეც უნდა გული მწყდებოდეს, მაგრამ
მოლოდინით ვარ სავსე ყელამდის...
იმედისა და ოცნების მსგავსი
ფანჯრებში ბზინავს ნაძვის ტოტები
და საახალწლო ვნებებით სავსე,
კიდევ ერთი წლით გიახლოვდები“.



### გიორგი ლეონიძე:

„სამშობლოვ,
შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაჟღერო მინდა ოცნებით,
მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი ტრფობის მტყორცნელი!
ყოველდღე ჩემთვის ბედნიერების
და სიხარულის ხარ მომლოცველი!“

### იოსებ გრიშაშვილი:

„აავსე თასი! შესვი! გაამოს!
აგევსოს დღენი, ახალო წელო,
რომ ქვეყნის დუშმანს, ბნელს, უღიმღამოს,
ეს გამარჯვებაც დაუსახელო.
იდიდოს შენი ნორჩი სახელი,
შენს სადღეგრძელოს ყოველ წელს ვსვამდე,
ერთად ვიაროთ, – ჩამკიდე ხელი, –
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე“.

## ინფორმაცია

### სამტრედიაში ჩასახლებულ დევნილებს ყურადღებას არ აქცევენ

**საპარლამენტო** უმცირესობის წევრმა გია ცაგარეიშვილმა სამტრედიაში ჩასახლებულ 300 დევნილის პრობლემაზე ისაუბრა და ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვინაობით დაინტერესდა.

როგორც დეპუტატმა გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, სამტრედიაში ჩასახლებულ 300-მდე დევნილს 8 თვის განმავლობაში ელექტროენერგია არ მიეწოდება.

ცაგარეიშვილმა მოუწოდა სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს ავთანდილ სტურუას, დაინტერესდეს ამ ადამიანების პრობლემებით, თუმცა იქვე დასძინა, რომ ამ მაჟორიტარს ფიზიკურად ვერ სცნობს.

დეპუტატმა დასძინა, რომ პრობლემის მოგვარებას სულ 11 ათას ლარი სჭირდება.

— შევიცოდოთ ეს ადამიანები, ჩათვალეთ, რომ მეც მათ რიგში ვდგავარ. იქნებ, გაიგოს გამგებმა და დევნილებს ერთი კვირით მაინც განუახლონ ელექტროენერგიის მიწოდება, რათა ადამიანურად შეხვდნენ ახალ წელს, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

# თბილისში იხსნება ახალი უნივერსიტეტი, ვულოცავთ!

თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტი სტუდენტთა მობილობის ფარგლებში ახორციელებს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების გადმოყვანის წესით ჩარიცხვას.

სწავლის გადასახადი მაგისტრატურაში არის 1635 ევრო (შესაბამისი კურსით ლარებში), დოქტორანტურაში – 1870 ევრო (შესაბამისი კურსით ლარებში).

გადასახადის დაფარვა ხდება ეტაპობრივად ანუ მეოთხედ ნაწილებად ყოველ კვარტალში.

საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 5 იანვრიდან 30 იანვრამდე. მისამართი: სამღერეთის ქ. 5

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელ: 74-88-49; 899 25-11-46.

## თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

**ბიზნესი და მართვა (საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; ტურიზმი);**

**სამართალმცოდნეობა (სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი; სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი; კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი).**

**მაგისტრატურაში სწავლის მსურველმა მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:**

1. პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);
2. პირადი განცხადება რექტორის სახელზე, სამაგისტრო პროგრამის მითითებით;
3. ოთხი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4);
4. სახელმწიფო ნიმუშის უმაღლესი განათლების დიპლომი (დედანი) დანართით, მათი თითო ასლი;
5. დახასიათება-რეკომენდაცია გამომშვები ფაკულტეტიდან;
6. სამეცნიერო პუბლიკაციების დამოწმებული ნუსხა და ქსეროასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (პროგრამა, თეზისების და/ან მოხსენებების კრებულები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. საკონკურსო რეფერატი სპეციალობაში, 18-20 გვერდი (სარეფერატო თემას ირჩევს კონკურსანტი, ტექსტი მომზადდება ACAD NUCX შრიფტით, ზომა – 12, 1,5 ინტერვალით);
9. მაგისტრატურის მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის საორგანიზაციო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (30 ლარი „ბანკი რესპუბლიკა“);

**კონკურსის პირობები:**

მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ბაკალავრს და დიპლომირებულ სპეციალისტს.

**საკონკურსო შერჩევა ჩატარდება შემდეგი წესით:**

რეფერატების 10-ქულიანი შეფასების პირობებში, კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაიშვებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა ნაშრომებიც შეფასდება 6 ან მეტი ქულით.

**მეორე ეტაპზე ჩატარდება:**

1. გამოცდა სპეციალობაში;
2. ტესტირება უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული);
3. გასაუბრება ინფორმატიკაში;
4. კომპლექსური გამოცდა – ჩააბარებენ კონკურსანტები, რომლებიც იცვლიან უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებულ სპეციალობას (სპეციალიზაციას) და, შესაბამისად, სპეციალობის დისციპლინებში განსხვავება აჭარბებს 25 პროცენტს.

**კონკურსის დასრულების შემდეგ გამჭვირვალედ გამოითვლება კონკურსანტთა საბოლოო რეიტინგი შემდეგი პარამეტრებით:**

1. სპეციალობის გამოცდის ქულა (სპეციალობისა და კომპლექსური გამოცდების საშუალო არითმეტიკული);
2. უცხო ენებში ტესტირების ქულა;
3. უმაღლესი განათლების დიპლომის დანართში მოცემული შეფასებების ჯამური მაჩვენებელი;
4. საკონკურსო რეფერატის შეფასება;
5. სამეცნიერო პუბლიკაციები;
6. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

**თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტებს, რომლებიც სპეციალობაში დაიმსახურებენ უფრო მაღალ შეფასებას. ბიზნესისა და მართვის და სამართლის ფაკულტეტებზე მაგისტრატურაში სწავლის ღირებულება:**

საქართველოს მოქალაქისათვის მაგისტრატურაში ერთი წლის სწავლის ღირებულება 1635 ევრო (შესაბამისი კურსით ლარებში) სწავლის ქირის გადახდა შესაძლებელია ნაწილობრივ, წელიწადში ოთხჯერ, კვარტლების მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

**საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 5 იანვრიდან 30 იანვრამდე, მისამართი: სამღერეთის ქ. 5.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ:** 74-88-49; 899 25-11-46.

## თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

**ბიზნესი და მართვა (საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; ტურიზმი);**

**სამართალმცოდნეობა (კერძო სამართალი; საჯარო სამართალი).**

**დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:**

1. პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);
2. პირადი განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, სადაც მოკლედ იქნება დასაბუთებული კვლევის ინტერესი და შერჩეული სპეციალობით დოქტორანტურაში სწავლის მოტივაცია (სადოქტორო პროგრამის მითითებით);
3. ოთხი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4);
4. სახელმწიფო ნიმუშის უმაღლესი განათლების დიპლომი – მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
5. მომავალი სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა;
6. სამეცნიერო პუბლიკაციების დამოწმებული ნუსხა და ქსეროასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ერთ-ერთი პუბლიკაციის ორიგინალი, რომელიც უკეთ ასახავს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველის კვლევით უნარს;
7. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (პროგრამა, თეზისების და/ან მოხსენებების კრებულები;
8. საკონკურსო რეფერატი სპეციალობაში, 35-40 გვერდი (სარეფერატო თემას ირჩევს კონკურსანტი, ტექსტი მომზადდება ACAD NUCX შრიფტით, ზომა – 12, 1,5 ინტერვალით);
9. CV;
10. დოქტორანტურის მისაღებ კონსკურსში მონაწილეობისათვის საორგანიზაციო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (30 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

დოქტორანტურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებულ სპეციალისტს.

**საკონკურსო შერჩევა ჩატარდება შემდეგი წესით:**

რეფერანტების 10-ქულიანი შეფასების პირობებში, კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაიშვებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა ნაშრომებიც შეფასდება 6 ან მეტი ქულით.

**მეორე ეტაპზე ჩატარდება:**

1. გასაუბრება სპეციალობაში (სარეფერატო თემის საფუძველზე);

**კონკურსის დასრულების შემდეგ გამჭვირვალედ გამოითვლება კონკურსანტთა საბოლოო რეიტინგი შემდეგი პარამეტრებით:**

1. სპეციალობაში გასაუბრების ქულა;
2. უმაღლესი განათლების დიპლომის დანართში მოცემული შეფასებების ჯამური მაჩვენებელი;
3. საკონკურსო რეფერატის შეფასება;
4. სამეცნიერო პუბლიკაციები;
5. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტებს, რომლებიც სპეციალობაში დაიმსახურებენ უფრო მაღალ შეფასებას.

დოქტორანტურაში სწავლის ღირებულება: 1770 ევრო (შესაბამისი კურსით ლარებში)

სწავლის ქირის გადახდა შესაძლებელია ნაწილობრივ, წელიწადში ოთხჯერ, კვარტლების მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 5 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, მისამართი: სამღერეთის ქ. 5.

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას**

**ტელ:** 74-88-49; 899 25-11-46.

ადამიანები და ცხოველები

# ძლიერთა ამა ქვეყნისა სიყვარულები

რასაკვირველია, იგულისხმება ცხოველები და ფრინველები და არა – ქალები. ეს იმდენადაა საინტერესო, რომ ამას წინათ აჩვენეს თუ როგორ სეირნობდა რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ძაღლთან ერთად, ეს მაშინ, როდესაც გავრცელდა ხმები, რომ მას კატა ჰყავს. საერთოდ კი საინტერესოა, თუ რომელი შინაური ცხოველები თუ ფრინველები ჰყავდათ და ჰყავთ ძლიერთა ამა ქვეყნისა.



დიმიტრი მედვედევი. ინგლისური სეტერის შავ-თეთრი ლეკვი პრეზიდენტს ბოლო დაბადების დღეზე აჩუქეს. კატა დოროფეი „ნევის მასკარადულის" ჯიშისაა.

ვლადიმერ პუტინი. დედალი ლაბრადორი კონი პოლგრეივი, ტოი-პუდელი ტოსია და მისი ვაჟიშვილი როდეო.

ბორის ელცინი. ცხოველები რეალურად უყვარდა, რაზეც მოწმობს რუსეთში მისი მმართველობისას პირველად მიღებული კანონი ცხოველთა სამყაროზე.

მიხეილ გორბაჩოვი. კატა, (მისი ჯიში ზუსტად ცნობილი არაა), მაგრამ, გავრცელებული ხმებით, მან ერთხელ სერიოზულად „სცემა" მედვედევის დოროფეი.

იოსებ სტალინი. შავი ტერიერი, მისი ჯიში გამოიყვანეს სტალინის პირადი მითითებით.

ვლადიმერ ლენინი. კატა ვასკა. ბონჩ-ბრუევიჩის ერთ-ერთი მოთხრობა იმაზეც კი მოგვითხრობს, თუ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი როგორ ასწავლიდა მას სკამზე გადახტომას.

ბარაკ ობამა. ჯერჯერობით არ ჰყავს, მაგრამ წინასაარჩევნო სიტყვაში ის თავის ქალიშვილებს ლეკვს დაპირდა.

ელისაბედ II. კორგის ჯიშის რამდენიმე ძაღლი, რამდენიმე ლობრადი, ფლამინგოთა გუნდი.

ჯორჯ ბუში. შოტლანდიური ტერიერი ბარნი, შავი კატა ინდია, ძროხა ოფელია.

ბილ კლინტონი. კატა სოკსი, ლაბრადორი ბადი.

მარგარეტ ტეტჩერი, ჯონ მეიჯორი, ტონი ბლერი. ბრიტანეთის სამივე პრემიერ-მინისტრისთვის საერთოა კატა ჰამფრი.

აბრამ ლინკოლნი. ღორი, ბატი და ინდაური.

ჯორჯ ვაშინგტონი. ცხენი ნელსონი.

უინსტონ ჩერჩილი. აქამდე ცოცხალი თუთიყუში, მიიჩნევენ, რომ ის 100 წელზე მეტი ხნისაა.

---

შვილები ნაილი, ფრიდონ, ავთანდილ თოდუები, სიძე ჯემალ კახაძე, რძლები თინათინ შენგელაია, ეკა ბალანჩივაძე, შვილიშვილები სოფიო, ირაკლი, ნინო, შვილთაშვილები გიორგი, საბა, ნიკოლოზი, სანდრო, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან

ნინა თეიმურაზის ასულ ცხადაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 I, დაკრძალვა 4 I, 15 სთ. მისამართი: ზუგდიდი, ლაზის ქ.№ 63.

---

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დედა

ნინა ცხადაია

და საძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

---

ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ფრიდონ თოდუას დედის

ნინა ცხადაიას

გარდაცვალების გამო

---

რამაზ ყურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დედის

ნინა თეიმურაზის ასულ ცხადაიას

გარდაცვალების გამო

---

ლაური მანაგაძე, ბადურ მოსიძე, ბიჭიკო აბდუშელიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ფრიდონ თოდუას დედის

ნინა ცხადაიას

გარდაცვალების გამო

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დედის ქალბატონ

ნინა ცხადაიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სს აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი", თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან აკად. ფრიდონ თოდუას დედის, სათნო ქალბატონის

ნინა ცხადაიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, არმაზ სანებლიძე, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი თანაუგრძნობენ ბატონ ფრიდონ თოდუას დედის

ნინა ცხადაიას

გარდაცვალების გამო.

---

პალიკო კინტრაია, ნუცა ჩხაიძე, ნინო და ნიკოლოზ კინტრაიები, თემურ ქურხული, ფატი ცაავა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დედის, სათნო ქალბატონის

ნინას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლიკა და აკაკი ნადარეიშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ფრიდონ თოდუას გარდაეცვალა დედა

ნინა ცხადაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გია სვანიძე და ლამარა თოდუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონ

ნინა ცხადაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნინო და გრიგოლ ჯღამაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ფრიდონ თოდუას დედის

ნინა ცხადაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მერაბ დვალი, მანანა შენგელია, ლია ჭელიძე ოჯახით იუწყებიან ქალბატონ

ნინა ცხადაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები უსამძიმრებენ ოთარ მიმინოშვილს – ცნობილ ისტორიკოსსა და სპორტსმენს, ჩვენი რედაქციის მეგობარსა და გულშემატკივარს – დისწულის

ოთარ ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო.

---

ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლია ჟორჟოლიანის მეუღლე

კონსტანტინე (კოკაძ ცხაკაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიური ცენტრი, საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოება და ასოციაცია გამოხატავს დიდ მწუხარებას და თანაუგრძნობს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დედის

ნინა ცხადაია-თოდუას

გარდაცვალების გამო.

---

რეზო და რუსუდან გაგუები დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ ოჯახის უახლოეს მეგობარს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დედის

ნინა ცხადაია-თოდუას

გარდაცვალების გამო.

---

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის რადიოლოგიური დეპარტამენტი გამოხატავს დიდ მწუხარებას და თანაუგრძნობს ქვეყნის მთავარ რადიოლოგს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დედის

ნინა ცხადაია-თოდუას

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87;
899 32-85-76.
კოსტავას 12

**წინასაახალწლოდ**

# როგორ გვილოცავენ პრეზიდენტები?

**გვახსოვს, რომ ტრადიციულად ახალი წლის დადგომას ქვეყნის მეთაური გვილოცავდა. როგორ იქნება წლეულს? აბა, რა ვიცით, რას და როგორ მოიფიქრებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

**იქამდე კი გაგაცნობთ, თუ როგორ ულოცავენ ახალ წელს სხვადასხვა ქვეყნების თავკაცები.**

საფრანგეთში ტელეარხები, დაახლოებით 8 საათზე, ახალი ამბების წინ გადასცემენ პრეზიდენტის მიმართვას. თუმცა 2007 წელს პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ დაარღვია ეს წესი და ჩანაწერის ნაცვლად პირდაპირ ეთერში მიულოცა ქვეყნის მოსახლეობას დამდეგი წელი.

იტალიაში პრეზიდენტი თანამემამულეებს მიმართავს საღამოს ახალი ამბების გამოშვების შემდეგ, როცა ოჯახების უმრავლესობა მუშაობს, მეორე დღეს კი, 1 იანვარს იმეორებენ ამ მილოცვის ჩანაწერს.

ბელორუსიასა და უკრაინაში ტელევიზიები გადასცემენ ქვეყნის ლიდერების მიმართვას ახალ წლამდე რამდენიმე წუთით ადრე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მნიშვნელოვანი დღესასწაულია კათოლიკური შობა, რომლის წინაც პრეზიდენტი ასევე გამოდის სპეციალური მიმართვით. საახალწლო მილოცვისთვის ემზადება ალბათ რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევიც. ჯერ არავინ იცის, თუ რას ეტყვის ის თავის ხალხს, გაიხსენებს თუ არა აგვისტოს მოვლენებს, რით დაამშვიდებს ჩვენში „ოკუპანტებად" წოდებულ რუს ჯარისკაცებს.



# ახალო წელო

დადგა ზამთარი, მოიტანა თოვლი და გუნდა,
დგას იანვარი წელიწადის ურღვევ ბურჯივით.
დღეს გავაცილეთ ძველი წელი ცარიელ გუდით,
ახალი წელი კარებს გვიღებს სავსე ხურჯინით.

დიდება შენდა, შემობრძანდი, წელო ახალო,
გვითხარ პირველი, შეგაშველებთ წამსვე მოძახილს.
მტერს ნუ დაინდობ საქართველოს მცველო ლახვარო,
აბედნიერე ჩვენს მიწაზე ყველა ოჯახი.

დაგვილოცე და გაგვიმრავლე სუფრები ლხინის,
აკვნების რწევა დაგვიბედე ტირილით ჩვილთა.
შეგვერგოს ყველას სავსე ყანწი ქართული ღვინით,
გვიმრავლე ცხვარი, დეკეული და ხარი შვინდა.

ყველა ლტოლვილი დააბრუნე თავის კერაზე,
სამშობლოს ცის ქვეშ სანუკვარი მშვიდობა გვინდა,
გულში იმედის ულამაზეს ჩოხას კერავს მზე...
და მეგობრობაც ყველა ხალხთან გაგვიდე ხიდად.

არ გაახარო ჩემს მამულში მომხდური მტერი,
ცას შეაგებე მაშხალები ლამაზ ფერებად,
ამრავლე ჩემი უშიშარი, ამაყი ერი,
ყველა შეგვასწარ საიმედოდ შენს დაბერებას.

რადგან მამული გვახატია გულის ფიცარზე,
ბედნიერება დაამკვიდრე ქართულ მიწაზე!

ტარიელ ხავთასი

# ვიქტორინა

1. რამდენი დედალი მოხარშა (მრგვლადძ, რამდენი ხაჭაპური გამოაცხო, რამდენი ჩარექა ღვინო ჩამოასხა კაზაკებისგან აწიოკებულმა, დარბეულმა და გაძარცვულმა მარინე უიშვილმა საკალანდოდ?

2. რამდენი ჰექტარი ქართული მიწა გაიყიდება უცხოელებზე 2009 წელს და რამდენი კვადრატული მილიმეტრი დაგვიბრუნდება?

3. რამდენი პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია და ფონდი ჩამოყალიბდება საქართველოში მომავალ წელს?

4. რამდენი გაფრენა ექნება გაისად საქართველოს პრეზიდენტს?

5. რამდენ თვეს გაძლებს ახალი პრემიერ-მინისტრი 2009 წელს?

გამარჯვებულთა გვარები უფასოდ გამოცხადდება ჩვენს გაზეთში.

თამაზ ილმელი

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

**კარიკატურისტის თვალით**



პირველ იანვარს:
— პური როდინდელია?
— შარშანდელია, ბატონო...

ამირან ერაძის ნახატი.

**ძვირფასო მკითხველო!**

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 6 იანვარს**

**ანეკდოტები**

მამაკაცის ზრდის სამი სტადია:

1. მას თოვლის პაპისა სჯერა.

2. მას თოვლის პაპისა არ სჯერა.

3. იგი თავად არის თოვლის პაპა.



* * *

— მამი, აბა, თუ გამოიცნობ, რომელი მატარებელი აგვიანებს ყველაზე მეტად?

— რომელი, შვილო?

— ის, რომლის ჩუქებასაც ჯერ კიდევ შარშან დამპირდი საახალწლოდ.

* * *

ორი ძმაკაცი ერთმანეთს ხვდება ახალი წლიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

— როგორ შეხვდი ახალ წელს?

— არ ვიცი, ჯერ კიდევ არ მოუყოლიათ...

* * *

თუ სექსის დროს ტელეფონმა დაგირეკათ, ესე იგი, ვილაცასაც უნდა.

**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.